ცნობის ფურცელი

VII წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 კვირა, 1 აპრილი № 1425

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. სახოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**

ამ ნომერში ექვსი გვერდია

გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ თალია ცაგარლისა, ნადეჟდა ცაგარლისა, თებრონია ტაბლიეევისა, ნატალია გედევანიშვილისა, მიხეილ, ვლადიმერ, ალექსანდრე და კოწია ცაგარლებისა სიკვდილს—პირველნი უძვირფასესი შვილისა, მეორე—უსაყვარლესის ქმრისა, ხოლო მესამენი ღ მეოთხენი გულ-დამჩაგვრელის ძმის

მღვდლის პართენ ცაგარლისას,

მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან (ავჭალის მოედანი, № 5) ოთხშაბათს, 4 აპრილს, დილის 9 საათზე, კუკიის სასაფლაოს წმ ნინოს ეკკლესიაში.

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 4 აპრილს

ბ. გლ. ალექსი მესხიშვილის გამგებლობით

წარმოდგენილი იქნება

ედმონდ კინი

დრამა 5 მოქმ. თარგმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ნ. ჩხეიძე, ნებიერიძე, კუნდელი; ბ.ბ. ალექსი-მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ანანიაშვილი და სხვ.

(2—უ—1) დასაწყისი საღ. 8½ საათზე.

ნაფიცი ვექილი

ვიტოვიჩი

გადავიდა გრიბოედოვის ქუჩ., № 12.

ქართველ თავადაზნაურთა თეატრში

ორშაბათს, 2 აპრილს, გამართული იქნება მხოლოდ ერთი საღღესასწაულო წარმოდგენა შესანიშნავის ამერიკელ ელეკტრ-მაგნოგრაფისა

წარმოდგენილი იქნება პირველად

ხარების ბრძოლა

მესანიშნავი მებრძოლით

მატადორით-მაზანტინით

უგრძელესი და შესანიშნავი სცენა „ზოლუშკა“, მხიბლავი ზლაპარ-ფეერია 20 სურათად, მოგზაურობა მთვარეზე, ტეცხლის გაჩენა ნიუ-იორკში, გიბნოტიზერის სანსი და მრ. სხვა. ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში დაკლებულის ფასებით.

დასაწყისი საღ. 8½ საათზე. (1—1)

„...თვალ-ცრემლიანი გარედ გამოვიდა...“

(ეტიუდი)

აივნის მოაჯირზე დაყრდობილი დათიკო სივრცეში დაეძებდა საგანს, რომ თვალი შეეყენებინა, მაგრამ თავის გვერდითაც კი ვერას ჰხედავდა. წყვდიადით იყო მოცული არე-მარე. შავად მონაბდული ცა არც ერთი ვარსკვლავის შუქს არ იმეტებდა დედა-მიწისთვის და დედა-მიწა კი შუქს მოკლებული უფრო წყვდიადით იბურებოდა. დიდ ხანს აცეცა თვალები დათიკომ, მაგრამ ერთ სხივოსანი წერტილიც ვერ იპოვა.

— „ეჰ!“—მწარედ ამოიოხრა დათიკომ, რაკი სხივოსანი წერტილი ვერა იპოვა-რა, და თავი ძირს დახარა. შეწყვიტა ძებნა.

„წივ, წივ“—ჩაიწივწივეს ამ დროს ბელურეებმა, იმის ახლოს ხის ტოტებზე ნორჩი ფოთლები შეარხიეს. დათიკოს გაუხარდა. ჩავიდა ძირს. მივიდა ხესთან და რხევა დაუწყო, მაგრამ ბელურეებმა ალარ გაიმეორეს წივ-წივი.

„ჰარალეეე!“—ყრუდ შემოესმა სიმღერის ხმა. დათიკომ ყურები ცქვიტა, მიიხედა იქით, საიდანაც სიმღერა მოისმოდა, მაგრამ ვერა დაინახა-რა. ისევ მოელრუბლა სახე.

„ჰარალეეე!“—უფრო მკაფიოდ გაისმა ხმაურობა.

დათიკო მივიდა ეზოს პირას, რადგანაც სახლი აჰფარებოდა, საიდანაც ხმაურობა მოისმოდა და შორს, სოფლის პირას, საყდარს მოჰკრა თვალი, რომელიც წყვდიადში ამართული თეთრად მოციმციმებდა გალავანში გაჩაღებული ცეცხლის ალზედ.

გაბრწყინებულის სახით მიესვენა იქავე ხის ძირს ზურგით და გაშტერებით მზერა აუწყო მოციმციმე საყდარს.

ეხლა იგრძნო, რაც იყო, რა დღესასწაულის გამოც იყო იქ შუქი, რისთვის მხიარულობდა ერი და ან თითონ რისთვის მოვიდა სოფლად.

ჩვეულებად გარდაექცა დათიკოს ყოველწელიწადს საღღგომოდ სოფელში წასვლა. ამას ბავშვობიდგანვე შეეჩვია და „ჩვეულებაკი“, როგორც ჩვენი ერი ამბობს, „რჯულზედ ღმტკიცესიაო“. დიდი ხანია ბავშვობის ხანა განვლო, ცხოვრებაშიაც კარგა ხანია ფეხი შესდგა და ბავშვური აღტაცება კარგა ხანია შემოეფცქვნა, მაგრამ დათიკო მაინც საღღგომოდ ქალაქს გაურბის და სოფლისკენ მიისწრაფვის...

გაშტერებით უმზერს დათიკო საყდარს, და გონების თვალმა წარსულისკენ გაიტაცა. ჰხედავს დათიკო რვა წლის დათიკოს სასწავლებელში, რომელიც მოუსვენრად მოელის საღღგომოდ დათხოვნას. ერთმა აზრმა შეიპყრო დათიკოს გონება: „შინ, შინ, შინ!“ ეუბნება გონება და სხვას ალარას. მეორე დღეს დაითხოვენ დათიკოს. ეხლა უფრო მოუსვენრობა დაეტყო. გაბუებული დადის დათიკო. ხან კი ჩაფიქრდება და მაშინვე თავის სოფელი ეშლება თვალწინ. იქ არის დათიკო. თავის და-ძმებთან ერთად ხითხითებს, დედას ეალერსება. გამომრკვევა თუ არა დათიკო და რა თავის თავს სასწავლებლის კედლებ შორის დაინახავს, გული უჩვილდება და ცრემლები თვალს უვსებენ...

— დათიკო, რა გატირებს?!—შეეკითხა ამხანაგი, რომელიც ქალაქში იყო დაბადებულ აღზრდილი და რომელსაც შინ წასვლის ძლიერი სურვილი არ გამოეცადნა.

— რა ვიცი!—მოკლედ უპასუხა პატარა დათიკომ და ცრემლები ველარ შეიმაგრა.

დიდ დათიკოსაც სახე მოელრუბლა. თითქოს დაჰბრუნებია იმ ხანას და სწორედ ეხლა ემართება ესაო...

შინ არის დათიკო. რამდენიმე წმინდა ყვითელი სანთელი ბჟუტავს აქა-იქა საკურთხევლის წინ, ძველებური ხატები მოკრთიან და იქ მყოფთ სასოებას უნერგავენ. კედლებიც კი თრთიან. უკანასკნელად ჩამოილოცა მღვდელმა აღსავლის კარებთან და მლოცველთ მიჰმართა: „ვინც ხვალ საზიარებელია, აქ დარჩეს, დანერჩენებთ შეუძლიანთ მიბძანდნენ“. რამდენიმე მლოცველი საყდრიდგან გავიდა. ოციოდე კი იქვე დარჩა. მათ შორის დათიკოც იყო. მღვდელი შევიდა საკურთხეველში. მლოცველთ კი ჩურჩული დაიწყეს.

„წყალი“!..—ერთმა წამოიძახა ჩუმათ: „წყალი არ არისო?!“ გაიმეორა მეორემ. პატარა გოგოებმა ლიტრებით შემოარბენი-

ამ ნომერში ექვსი გვერდია

გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ თალია ცაგარლისა, ნადეჟდა ცაგარლისა, თებრონია ტაბლიეევისა, ნატალია გედევანიშვილისა, მიხეილ, ვლადიმერ, ალექსანდრე და კოწია ცაგარლებისა სიკვდილს—პირველნი უძვირფასესი შვილისა, მეორე—უსაყვარლესის ქმრისა, ხოლო მესამენი ღ მეოთხენი გულ-დამჩაგვრელის ძმის

მღვდლის პართენ ცაგარლისას,

მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან (ავჭალის მოედანი, № 5) ოთხშაბათს, 4 აპრილს, დილის 9 საათზე, კუკიის სასაფლაოს წმ ნინოს ეკკლესიაში.

დამზღვევი საზოგადოება „როსია“ მკვიდრ საფუძველზე და ხელ-მისაცემ პირობებით იღებს შემდეგ დაზღვევას:

თანხისას სიკვდილის შემთხვევისათვის,
თანხისას სიბერისათვის,
ქვრივთა პენსიისას,
გასათხოვარ ქალების მზითვებისას,
სტიპენდიებისას ვაჟთათვის,
მთელი სიცოცხლის განმავლობაში შემოსავლისას.

1901 წ. პირველ იანვრისათვის დაზღვეულ იქმნება **75,863** პირი

სულ 160 840,000 მან.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ გამგეობას (ს.-პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაია, № 37). მის განყოფილებას ქ. ტფილისში (სერგიევის ქ., № 6) და აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში. (1—1)

განცხადება.

ბაქოში ქართველთა მიერ შემდგარმა ამხანაგობამ **„ივერია“**, რომელსაც საგნად აქვს ნავთის და ყოველგვარ მთა-მადნეულობის საქმის წარმოება, უკვე აიღო იჯარით ნავთიანი მიწა სანავთო აგარაკ „საბუნჩაში“ და ამ მოკლე ხანში აპირებს შეუდგეს ნავთის საწარმოებელ მუშაობას.

ამასთანავე, საქმის გასადიდებლად და მკვიდრ ნიადაგზე დასამყარებლად, ამხანაგობამ საჭიროდ სცნო—ძირითადი თანხა გაადიდოს და ამის გამო გამოსცეს

დამატებითი პაები, თითო პაი ას (100) მანეთად ღირებული.

გამგენი ამხანაგობისა, ვაუწყებთ რა ზემოხსენებულს, უმორჩილესად ვთხოვთ, ვისაც დამატებითი პაის შეძენა ჰსურს, მოჰმართოს ამხანაგობას შემდეგის ადრესით:

Въ гор. Баку. Князю Іосифу Іюлоновичу Даліани. Въ контору торгово-промышленнаго товарищества „Иверія“, по Меркурьевской ул., въ домѣ Арафелова.

ამავე ადრესით უნდა გამოიგზავნოს ფული.

გამგენი ამხანაგობისა სამთო ინჟენერნი თ. ი. ი. დადიანი. თ. დ. გ. ჯორჯაძე. ს. ვ. ბრაილოვსკი.

(10—ნ—8)

საუკეთესო არეშუმის ჭიის თესლი

მოიკითხეთ ქ. ბათუმში, მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში. ფასი ზომიერია. (15—10)

„ჟუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების“ გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 8 აპრილს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია ამ საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება, ნაცვლად პირველის კრებისა, რომელიც 25 მარტს არ შესდგა. (1—ნ.—1)

ПЕРВЫЙ *номеръ газеты* „АРГОНАВТЪ“

выйдетъ въ Тифлисѣ 15-го Мая.

Редакторъ **И. Ф. Тхоржевскій**

პირველი ნომერი გაზეთ **„არგონავტისა“**

გამოვა ტფილისში 15 მაისს.

(1—1) რედაქტორი ი. ფ. თხორჟევსკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეს წყალი, და ყველამ მოირიგა. ჰსწყუროდათ, თუ არა—ყველანი ჰსვამდენ წყალს.

— დათიკო, შენ კი არ გინდა წყალი?!— დაეკითხა მზრუნველობით მეზობლის გოგო დათიკოს.

დათიკომ ლიტრა გამოართვა და დალია. იმან კარგად იცოდა, რაკი ზიარების წინა ლოცვებს წაიკითხავდნენ, წყალი აღარ დაილეოდა. იცოდა კი არა, სწამდა ეს და...

გამოვიდა დინჯის ნაბიჯით მღვდელი საკურთხevლიდგან და საწიგნობთან მივიდა. დაწყნარდა ყველა. ლიტრები სწრაფად გარედ გაიტანეს, ნერწყვი ჩაიწმინდეს, და მღვდლის პირველ სიტყვებზედ ყველას გულის სიღრმიდგან სასოებით „ღმერთო“ აღმოჰხდათ.

დაიწყო მღვდელმა ლოცვების თანაბარი ერთ კილოთი კითხვა, ხოლოდ „ღმერთო“, „მღვთის მშობელო“, „იესო ტკბილო“-ს წარმოსთქვამდა მკაფიოდ მაღლად და გარკვევით, დანარჩენ სიტყვებს ჩქარა გადაბმით ამბობდა. მისი კითხვა პატარა ნაკადულის ჩანჩქარს ემზგავსებოდა, რომელიც ატკბობდა მსმენელთ ყურს და უნერგავდა სასოებას. მსმენელნიც იმეორებდნენ მაღლა ხმით წარმოთქმულ სიტყვებს და პირჯვრის წერით მუხლს იდრეკდნენ...

გული მოეწურა დათიკოს. შეჰშურდა პატარა დათიკოს მდგომარეობა. მოჰწყურდა რწმენა...

ცხოვრებამ ბევრი ბრძოლის შემდეგ მთლად გამოუფურა რწმენა. მოუსპო ის რაც ჰქონდა და სამაგიერო კი აღარა მიჰსცა-რა. მისი გონება უმოწყალოდ აპობდა, ანადგურებდა ყველა იმას, რასაც კი ცხოვრება წინ უყენებდა და, აი, ეხლა ურწმუნომ უეცრივ თვალი მოჰკრა თავის-თავს, რომელსაც ჰსწამდა, ჰსწამდა ისე, როგორც მის მეზობლებს, მთელ თავის არსებას ამ რწმენაზე ამყარებდა ისე, როგორც სხვები...

— დათიკო, დათიკო, მოდი შემიერთდი და...—დაუძახა დათიკომ პატარა დათიკოს და ხელები გულში ჩასაკრავად გაშალა.

— ჰაჰაჰაჰა!..—დაჰხარხარა ამ დროს გონებამ და აღგზნებით გაწვდილი ხელები მოუდუნდნენ და მოწყვეტით ჩამოუცვივდნენ...

— ღმერთო, ღმერთო!..—ცოტა სიჩუმის შემდეგ გულ-ჩაწყვეტით წამოიკვნესა დათიკომ და სიმწვავით თვალებს ჭყლეტა დაუწყო...

ამ დროს ჩამოჰკრეს დიდ ზარს. ჯერ იმისი გუგუნი ჰაერში არ შეწყვეტილიყო, რომ წვრილი ზარები ააყოლეს და სწრაფ მხიარული ზარის რეკა ასტყდა.

დათიკო მოსწყდა ადგილიდან და ჩქარის ნაბიჯით გაეშურა საყდრისკენ, რომელიც შორიდან უფრო მკაფიოდ მოელვარებდა. მისწყდა ზარის ხმა. დათიკომ შესდგა ფეხი საყდრის კარებში და თვალი აუჭრელდა. ოთხას ხუთასამდის ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, ათასამდის მოლაპლაპე წვრილი თუ მსხვილი კელაპტარი თვალთ ეცა. აღმოსავლის კარებთან ოქრო მკერდით ნაქსოვნი შესამოსით, ჯვარით და ერთმანეთზედ მიკრული სამი კელაპტრით გაბრწყინვებული სახით მღვდელი დაინახა.

— ქრისტე აღზდგა!.. აღტაცებით მიჰმართა მღვდელმა ერს და ჯვარი გამოსახა ჰაერში კელაპტრებით და ჯვარით.

— ჭეშმარიტად!!.. —აღტაცებითვე იგრიალა ერმა.

— ქრისტე აღსდგა!—იმავე კილოთი გაიმეორა მღვდელმა.

— ჭეშმარიტად!..

— ქრისტე აღზდგა!..—მესამედ მიჰმართა მღვდელმა.

— ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად!..—უფრო დიდებულად უპასუხა ერმა, და დიდხანს დრდვინავდა მისი ხმა.

თითქოს პირველად დასწრობოდესო, დათიკო დამუნჯებული იდგა და თვალებს აქა-იქა აცეცებდა. უნდოდა ეპოვნა სასოება ამ დიდებულ სურათში. ჰპოვა კიდევაც, მაგრამ იგი ყველა აქ დამსწრეთა გულში ჰსუფევდა; ხოლოდ, მის გულში კი არა და არა. უფრო ემწვავა, რომ მარტოდ დარჩა და თვალ-ცრემლიანი გარედ გამოვიდა, რომ შავ წერილად არ აღბეჭდილიყო ამ გაბრწყინვებულ სურათში.



„აღსდგაო ქრისტე!“

— «აღსდგაო ქრისტე!»—მოისმოდა ხმა მხიარული.
და მე-კი, როგორც ზეციისგან შეჩვენებული,
ვსდუმდი... გარშემო არე-მარე გაბრწყინვებული
ნუგეშს არ მცემდა, ვით სამარე გაცივებული!
პირზედ დიმილით, ტანთ მდიდრულად გამწყობილი,
გაზაფხულისა ია-ვარდებრ აყვავებული,
ეგზელ ერთმანერთს შეჰყურებდა გახარებული,
მაგრამ დიმილი იგი იყო შეგინებული...
— «აღსდგაო»!... თითქოს იგი მცნება, რომლისა მადლიც
კაცთ სანუგეშოდ ზეცამ ქვეყნად გარდმოავლინა,
მარტო გარეგანს თხოულობდეს მორჩილებასა
და გულს კი შეჰქონ სიმართლისა არ მიაფინა!
— თავისუფლება, სიყვარული, ძმობა-ერთობა,
მაშვრალთ და ტანჯულთ, დამცირებულთ ხსნა, თანაგრძნობა,
რომელთ სახელით ქრისტემ თვისი უბრალობა
ჯვარზე ამართა და დასთრგუნა მით ბოროტება,
ეს მცნება დღეს ხომ ფუჭი არის, დავიწყებული!..
მაშ რადა არის ის კავშირი, ის სიყვარული,
რომელს ქრისტესი ეწოდება სახელად სჯული,
თუ მადი მისი უქმი არის, მოძულებული?!.
სისხლი და შური, მტარვალობა, სუსტის მონობა,
ჩაგრულთა დევნა, უსირცხვილო თავ-გასულობა!
—ჰა, რით ამაყობს დღევანდელი კაცობრიობა,
რით ჰგონებს ჰპოვოს სუსტთა შორის მან თანაგრძნობა!..
მოჰხედე, ქრისტეო, ამ ქვეყანას გატრუებულსა,
შენს დვთიურს მცნებას ეგრედ მდაბალად შეგინებულსა!
მაგრამ რა? თურმე გოლგოთა და ტანჯვათა ჯვარი
დღეს ჩაგრულთ ნუგეშს ადარ სცემენ, ორივ არს მკვდარი!

1897 წ. ს.-პეტერბურგი.

„უკვდავების წყარო ჰარ!..“

მე ცისა და დედა-მიწის პირმშო შვილი ვარ!.. დღისით-მზისით დიდებულნი სხივნი მზისანი ამკრეფენ ყვავილებიდან, მინდორველიდან, ამაორთქლებენ; მოვფრინავ უჩინარად მაღლა-მაღლა და ვიჩქმალები ცის სივრცეში; ვხვდები ჩემს ტოლ-ამხანაგებსა. ჰო, რა გამეხარდება ხოლმე მათი ნახვა იქ, იმ სიშორეზე!.. მაღლიდამ ჩვენ, ციურნი ცვარნი, და ვარსკვლავები, მერცხლის ბარტყებივით, ერთად გადმოვცქერით დაბლა ქვეყნიერებას, შთანთქმულს სიბნელეში... შეხეთ, შეხეთ! სიბნელის ზღუდეში ნათელს შემოუქვრეტნია და ვიღაცის ულირსი ხელი ტალახს აგლესს, რათა სინათლე არ შემოუშვას... ოჰ, დამბადებელო! რა მეზიზღება დაბლა ჩამოსვლა! ნუ, ციურნო ცვარნო, ნულარ დავბრუნდებით შავ-ბნელს ქვეყანაში, სადაც ძმა ძმის სისხლსა ჰღვრის, მამა შვილს არ ინდობს და შვილი მამას!!. დედა რომ არა მყვანდეს, მისი ნახვა რომ არ მომენატრებოდეს, სულაც არ დავბრუნდებოდი ქვეყნადა.

აგერ, რაც ქვეყანაზე ავაზაკებია, სულ გარედ გამოფენილან: ის არჩობს აკვანში შვილს, ამ უმანკო და უდანაშაულო კრავსა, ნამუსის მოსაწმენდად; ერთი მეორეს ჯიბესა სჭრის, ფეხს უდებს წასაბორძიკებლად... აგერ ხალხი ამხედრებულა ხალხზე, კაცი კაცზე!.. ოჰ, ხატებავ და მსგავსებავ ღვთისაო!! რა ნაირ დაჰშორებიხარ ღმერთსა, რა ნაირ გაგიუმსგავსებია მისგან მონიჭებული ხატება!!. ფუი, ფუი!!.

შეგვეზიზღა ჩვენ, ციურს ნამებს, უმსგავსება ქვეყნისა და ღვთის ტრაპეზის წინაშე გავიფიცენით, აღარ დაბრუნებულვიყავით ქვეყნათ, მოგვემშრალებინა, მოგვეხმო იგი, რომ ეგებ გონზე მოსულიყო... დახეთ, დახეთ! შექმნეს ბღავილი.

— „გვალვამ ამოგვაგდო, გვალვამ! უფალო, გარდამოიხილენ ზეცით დაბლა და გაანედლე ვენახი შენი!“—გაისმა ხალხის ღაღადისი.

მათმა სასომიხდილმა ბღავილმა მთლად შეარყია ცის სამყარო; ჩვენ, ციურნი ცვარნი, შევკრთით, ერთმანერთს მივეხუტენით, შევჯგუფდით.

ისმინა უფალმა ვედრება ხალხისა, ლმობიერებით იბრუნა გული!.. აი, დაგვიქნია ფრთანი ღვთისგან მოვლენილმა ბრწყინვალე ანგელოზმა, სიწმინდე და სისპეტაკე მისი გარდმოევლინა ჩვენზედა; ჩვენც განვსპეტაკდით, გარდვიქეცით ობოლ მარგალიტებად და ლაფ-ლუფით დავეშვით ჩვენს მშობელ დედისაკენ.

რა კარგი რამ ხარ, დედავ ჩვენო!.. რამდენიმე დდე ვიყავით მიფარებულნი მის თვალთაგან, ჩვენის გულისათვის მისი კვნესა ცის სივრცეს აღლვევდა და ჩვენამდე ღაღადებდა... დედა-ჩვენი ველარ ვიცანით: დარდისა და მწუხარებისაგან სულ დაჭლაროდა გულ-გვამი, სახე მოსჭმუხვნიყო. დაგვინახა თუ არა მისკენ მიმფრინავნი, მსწრაფლ გული გადიღელა,—გადიღელა კი არა—რას ვჩმახავ—შრომისაგან მოღლილი, მზისაგან მწარედ დამწვარ-დახრუკული გულ-მკერდი შუაზე გაიპო და შიგ ჩაგვიწვეთა, გულში და სულში ჩაგვიტკბო, ჩაგვიხუტა; იქ, გულ-მკერდში, პატარა ხანს დაგვასვენა, მოგვაცნობილ-მოგვასურიელა დაღლილობისაგან, დაგვზარდა, დაგვანაკადულა და კლდის ძირში ამოგვაჩუხჩუხა.

— წადით, შვილებო, ქვეყანა ასულდგმულეთო, გვითხრა მან...

ოჰ! რომ იცოდეთ, რა ნაზი ვარ, რა ცქრიალა, რა მარგალიტის ცრემლებივით ამოვდულვარ იმ კლდის ძირიდან!!..

— იჰ, იჰ! სწორედ უკვდავების წყაროა ეს „ცრემლის წყარო“, ამბობენ ხოლმე ჩემზე მგზავრები.

დიაღ! მე სწორედ უკვდავების წყარო ვარ! ჩემით უდგია სული ქვეყნიერებასა; ტყუილად კი არ მაღმერთებდნენ მე ბერძენთა ფილოსოფოსნი!.. მე ბუნებით უზადო, უნაკლულო ვარ და მკურნავი ათას გვართა სნეულებათა. მაგრამ მოვცილდები თუ არა ჩემს აკვანს-კლდესა, დედა-ჩემის წიაღსა, დამესევა ხოლმე ათასი მწერი; ულმობელი კაცის ხელი ხომ მამტუტებს, ყველა ნაირს უწმინდურებას მაყრის თავზედა. გული მიღონდება, სული მეხუთება, ვშფოთდები, მინდა ალმა გავბრუნდე, მივიდე ისევ ჩემს აკვანთან, რომ გავიწმინდო ჭუჭყისაგან, მოვიცილო ზურგიდან სხვათა ცოდვათა ტვირთი და კვლავ ტურფა კეკლუცი და სპეტაკი დავბრუნდე. მაგრამ რა? იგივე მომელის. ეს კიდევ არაფერი: მსწავლულებმა ხომ მთლად ილაჯი წაიღეს, ამ დღე ჩემს კიცხვაში არიან, აფთხილებენ ხალხს: არ დალიოთ ამ ძღინარის წყალი ხოლერის და ყველა ნაირის სენის გამჩენიაო. არა, ეს საყვედური მე არ მეკუთვნის: თვით ადამიანი მაუწმინდურებს, თვით! ადამიანმა თავის თავსაც კი შეუბღალა ზნეობა, დაიმცირა მით თავი და აბა მე რა კეთილს მიზამდა!?... ბრაზი მომდის ადამიანზედ!... ხანდისხან ვუღალატებ ხოლმე ჩემს წმინდა ბუნებასა, ჩემს წმინდა დანიშნულებასა, ავბორგდები და მივაგებ ხოლმე მას, იმ გულქვა ადამიანსა „კბილსა კბილისა წილ და თვალსა თვალისა წილ!“... უფალო, მაპატივე რომ გადაველ შენსა მცნებასა: „ხოლო მე გეტყვი თქვენ: არა წინა-აღმდგომად ბოროტისა, არამედ რომელმან ჰგცეს შენ ყურმალსა შენსა მარჯვენესა, მიუპყარ მას ერთი კერძოცა...

—

იმ დღეს გული სულ ერთიანად გადამიბრუნდა, მიწაში ჩაძრომა მომენატრა. რად? მოვიდა ვიღაც დამაშვრალი კაცი, დამეწაფა და ხარბად დამლია. შუადღის გული იყო; ყველა უწმინდურება თავ-პირზე მეყარა. შევატყე, რომ მგზავრს შეაძაგძაგა, ზიზღით გადმომაფურთხა და ჩამომძახა:

— ფუჰ! რა მყრალი წყალი ყოფილაო.

— შენივე ბრალია, შენი! ამოვძახე ქვეიდან ჩუხჩუხითა, შენ შემიგინე ბუნება, შენ წაჰსწმიდე სიწმინდე ჩემი! ხმა აღარ გამცა და ფეხების ფრატუნით გასწია.

—

—რა ყანებია წელს, რა ყანებია!! კაცი ვერ გაუვა; ვენაცვალე ამ ჩვენს მდინარეს; მშვენიერი და მადლიანი წყალი აქვს; ყოველივე გემოიანი მოჰყავს: პური, სიმინდი, ლობიო. კიტრსა და მწვანილს ნუღა იტყით: ჭამით ვერ გაძღება კაცი!.. მილაპარაკობდნენ გლეხები.

მიამა, ძრიელ მიამა! ამაშიაც ყოფილან სიკეთის დამხსომებელნი მეთქი, ვიფიქრე.

—

აი შუა-ღამე მოახლოვებულია; მოვიქანცე, მოვიღალე ამდენის ჭუჭყის ჩარეცხითა, მაგრამ შაგიერში გავიწმინდე, განვსპეტაკდი. მე ამ ჟამად,, ამ შუალამისას, ისეთივე უმანკო ვარ, თითქძის ისეთივე, როგორც ამოვდულვარ კლდის ძირში. აი ეხლა დამლიონ, რომ ვემალამოვო დამწვარს გულსა, მას დღის სიცხისაგან მოკიდებული ჭუჭყ-ჟანგი გადავურეცხო; რომ დამლევს სული განვუსპეტაკო, შუბლიდამ ბურუსი გადვუყარო.

„რრრ-უ-უ-უ!.. მემონება!... ახლა კი პატარა ხანს თვალი მივრულო... „რრ-უ-უ“!.

„ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო“; მილულა თვალნი „უკვდავების წყარომ“; მის გარშემო ყოველივე მიწყნარდა. გატყდა ღამე, განთიადმა ფარდა ასწია აღმოსავლეთს და ცამ თანდათანობით იწყო ელვარება; „უკვდავების წყარომ“ ნელ-ნელა მორთო ჩხავილი, ღვიძილი შეეპარა. აგერ რაღამაც შეაჭყაპუნა წყალი და მისი ზედაპირი შეათამაშა.

იჰი, რა ღრმად მეძინა!... ჰაჰაი! წვერავ, წვერავ! რა ადრე გამაღვიძე; შენმა ჭყაპუნმა ძილი შემიკრთო, მაგრამ გმადლობ, განთიადი დაწყობილია! გამოეხმაურა „უკვდავების წყაროო“ წვერა თევზსა.

წვერამ გაუთამაშ-გამოუთამაშა „უკვდავების წყაროსა“, ბოლო გადუშხაპუნა მას, პირი გააღო სალამის მისაცემად, მაგრამ არ ძალედვა ხმის ამოღებად.

— ოჰ, რა ლამაზი ხარ, წვერავ! დალიე, გენაცვა, დალიე განთიადზე მშვენიერი ცივი წყალი! იხტუნე, იჭყუნპალავე, ვინემ ადამიანის ულმობელი ხელი მოგვხვდებოდეს. შენ რაღას გემართლებიან, შენ ერთად ერთს ჩემს მეგობარსა, შე უმანკოვ, შე უდანაშაულოვ, შენა!!. ვინ იცის, რამდენი რამ გაქვს სათქმელი, მაგრამ პირი წყლითა გაქვს სავსე. ღმერთო, მაპატივე: მე ვარ მიზეზი შენი კრიჭის შეკვრისა, მე!!...

—

მართლა, დღეს დიდ-ხუთშაბათი თენდება. „ნეტავი ვინ მოვა უწინ ჩემთან „უძრახი წყალისათვის“ *), ჩაიბუტბუტა „უკვდავების წყარომ“...

— ჩუ!.. ვიღაცის ფეხის ხმა ისმის, ვიღაც გამორბის... ბავშვია უმანკო!.. შვილო, სად მიეშურები? ავად ხომ არა ვინა გყავს, რომ პირი დაგიღრეჯია? აი, წაიღე ჩემი წყალი, მე „უკვდავების წყარო ვარ“, ყველა ჩემით სულდგმულობს...

— დედა მიკვდება, მღვდელთან გავრბივარ, ეგებ ზიარება მიასწროს, ჩასძახა ბავშვმა და მარდად გაირბინა საცალფეხო ხიდზედ.

— ჩუ!.. კიდევ ვიღაცა მოდის... ღმერთო, რა მშვენიერებაა!! ტურფაა, როგორც განთიადი; მარდი, როგორც ქურციკი „მაღლა მხტომელი“; მის ფშვინვას ვარდის სუნი ამოსდევს; გულში ხატად სიწმინდე

*) დიდ-ხუთშაბათ დილით ადრე ამოიტანენ წყალს ისე, რომ არავის გამოელაპარაკებიან; ეს წყალი წამლად მიაჩნია ხალხსა, როგორც ქრისტეს ფეხის ნაბანი.

უსვენია; სული წმიდა აქვს, ვითა მტრედსა, თვით ღმერთია მასში!.. ვინა ხარ ტურფა, მშვენიერო და უმანკო ასულო!.. მოდი, მოდი დამეკონე! მოდი, გულს მიგიკრა, მიგიხუტო, ჩაგიტკბო!.. შენი უმანკოება ჩემსას მაგონებს.. ხმას რად არა მცემ, წმიდა ასულო!

„წმიდა ასულმა“ პასუხის ნაცვლად ცრემლნი ცხელნი ჩააფრქვია მდინარეში.

— ოჰ, რა ცხლად დამეცნენ, წმიდაო ასულო, ეგ ცრემლნი მწველნი! გული დამწვა, გაახვნა იგი და გაიარა გარე. რა გაწუხებს წმიდა ასულო?

— დედა მიკვდება, „უძრახი წყალი“ მთხოვა, იქმნება ეწამლოს იგი,—ტირილით ჩასძახა ასულმა და კვალად ჩააპნია ცხარე ცრემლები.

— ნუ სტირი უმანკო ასულო, ნუ სტირი! მოდი, დამეკონე.. ეგრე, ჰო, ეგრე! გიამა განა, შვილო! გულს დარდები გადაგეყარა, განა?! აავსე, აავსე ეგ შენი კოკა; არავისი ულირსი ტუჩი არ მიაკარო მაგის პირსა; ასვი დედას, ილოცე; შენი წმიდა ლოცვა მსხვერპლად შეეწირება დედა-შენს; ჯვარცმული ქრისტე შეიწირავს შენს ლოცვასა ბ თვისის აღდგომის დღეს მასაც აღადგენს. მეც ხვალ, მის ტანჯვის დღეს, შენს ობოლს ცრემლებს, ჩემში ჩამოწვეთებულთ, ავაორთქლებ, აღვავლენ ზეცად და საკმევლად ვუკმევ ჯვარ-ცმულსა მისს საყდრისა წინაშე... ნულარ სტირი, ბავშვო, ნუ!.. ხომ გითხარ—ჯვარ-ცმულია ტვირთ-მძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი და მფარველი: იგი ულხენს შენს საბრალო მშობელსაც.

უმანკო სული, დარდ გადაყრილი და სასოებით აღვსილი, სავსე კოკით გამოეშურა დედისაკენ.

ს. მგალობლიშვილი

---

* * *

გაზაფხულის ამო ძალა
სოფელს უმდერს «ქებათ-ქებას»,
სევდა იმედს ენაცვალა
და სამგოსნო აღტაცებას;
ანაყარდა სული, გული,
გრძნობა წმინდა, მონარნარე,
თვალის ჩინად მოქარგული,
ახალერდა არე—მარე;
გაიფურჩქვნენ ია – ვარდი,
მოეკაზმა მდელოს გული,
ბედთ დაიწყეს ცად ნაყარდი,
ნანას უმღერს ვარდს ბულბული;
მზის ამოსვლას ელოდება
სასოებით ქვეყნად ყველა
და ზეცაზე ისახება
განახლების ცისარტყელა.
ჰა, ლომკაცი, შრომის შვილი,
სთესავს,—ელის მოსავალსა,
თავის ბედით კმაყოფილი,
ნატრობს შვილთ კარგს მომავალსა.
მწყემსი დილით მთასა და ველს
უხმატკბილებს სალამურსა,
გოგოთ გრეგა ბანსა აძღვენს,—
იმღერიან სალამურსა;
ყველას ერთად სამეჯლისოდ
ევსება და უძგერს გული,
ყველასა აქვს სამერმისოთ
იმედები დასახული;
ყველა იღწვის სასოებით,
ამყარებენ თანხმობასა,
ჯვრის წინ ლოცვით და ვედრებით
შეჭხარიან ადგომასა...
გაზაფხულის ამო ძალა
სოფელს უმღერს «ქებათ-ქებას»,—
სევდა იმედს ენაცვალა
და სამგოსნო აღტაცებას!.,

გრ. აბაშიძე

გ ა ა მ ო ც დ ა

(გინცელინი)

არც ისეთის მაღალის ზნეობის ბრძანდებიან შამპანიის მცხოვრებლები, როგორც ზოგიერთს ჰგონიათ. რომ ეს მართალია, მხატვარი ფრანსუა-მარი გახლავთ ამისი მოწამე: მან გამოსცადა ეს თავის თავზე.

ამას წინად ფრანსუამ განიზრახა აელო რამდენიმე ესკიზი შამპანიის მიყრუებულ ალაგებიდან და ამიტომაც ერთს მშვენიერს დღეს გაემგზავრა ამ პროვინციისკენ, მოსძებნა შესაფერი ადგილი და დაბინავდა. აქ, სრულიად შემთხვევით, ფრანსუა მიწვეულ იქმნა ადგილობრივ შეძლებულ მემამულე მევენახესთან, რომელმაც, სხვათა შორის, სთხოვა დაეხატა მისი, დედის ერთა ფრანსუაზა-ძარის სურათი. ჯერ კიდევ პორტრეტი არ იყო გათავებული, რომ ფრანსუაზამარიმ და მხატვარმა ერთს მშვიდს და წყნარს ღამეში მოჰკურცხლეს მამის სახლიდან საითკენღაც და პირველი, ტრფიალების თვე, სადღაც მიუვალ ადგილს გაატარეს; მხოლოდ წასვლის დროს ცნობა დაუგდო ქალმა მამას, რომ „სურათს იქ დავამთავრებთო“.

ამგვარ განსხვავებულ გარემოებაში დახატული სურათი ნიჭიერ მხატვრისაგან კარგი რამ უნდა ყოფილიყო და, მართლაც, ხელოვნების გენიალური ნაწარმოები რამ გამოვიდა!—წარმოიდგინეთ ახალგაზდა ქალი, ისეთი წერწეტა, რომლის სახეზე მიმტაც ქანც-მომრევ ეშხის სიმთვრალეს კითხულობ; შუბლზე გვირგვინივით გადმომჯდარი წაბლის ფერი თმა, ოდნავ მოღიმარე თვალები და სურვილის აღმგზნები ბაგეები, ერთი მეორესთან შეთანხმებით, იყო სამკაული ამ არსებისა. ჰაერის მსგავს საზაფხულო სუბუქ ტანისამოსში მყოფს ცქრიალას ეტყობოდა, რომ მის ბუნებაში სიცოცხლე დუღდა და გადმოდუღდა. ღია-ვარდის ფერი ბაგეები ოდნავ მტრობდნენ პატრონს და უჩენდნენ სარდაფის მსგავს კბილებს. ლამაზი და ნაზი ხელი, თითქო ნერვ მორეული, სჭყვლეტდა მიხაკის ყლორტს. ასეთი იყო სურათი!

პორტრეტი დასრულდა, მაგრამ მხატვრის მოსვენების დროც გათავდა. დადგა ახალი ხანა. სამწუხაროდ, ფრანსუაზას ფიზიკურ მშვენიერების მეტი არაფერი ღირსება არ აკლდა. მხატვარმა შეიყვარა და მხოლოდ ეს იყო მისი გამამართლებელი საბუთი. მაგრამ არ შეიძლებოდა, ბოლოს მაინც არ მობეზრებოდა მას თავი სატრფოს უგზოუკვლო უბედობით და უსაფუძვლო იქვით. ამას თავი დავანებოთ. ფრანსუაზას ისეთი პლანები ჰქონდა გამზადებული მომავალისთვის, რომ ეს მხატვრისთვის ნამდვილი „ეკლის გვირგვინი“ იქმნებოდა, რომ ამ-ხდარიყო.

განა არის ქვეყანაზე ისეთი ადამიანი, რომელსაც სავსებით განეცადოს ის მწუხარება, კსინვა და ზიზღი, რომელთ ბუდეა სიყვარული და მაინც კი სიყვარული უწოდოს მას?

მხატვრის გული ნაკუწებად იჭრებოდა და იფლითებოდა, როდესაც წარმოიდგენდა, რომ სატრფოს მასთან უნდოდა დარჩენა. ამაზე უარესი კიდევ ის იყო, რომ ვერც თითონ ანებებდა თავს! ასეთ მახეში გაება მხატვარი!—უსაფუძვლოა, ვინც ამბობს, რომ სიყვარული, რაკი გული დაჭრილია, ჰქრებაო, ის კი არა,—უფრო ღონიერდება, ძლიერდება და სავსებით იპყრობს მთელ გულს.

საუბედუროდ ფრანსუაზა—მარიმ არ იცოდა ეს პსიხოლოგიური კანონი და ამიტომაც, დააშრო-რა ცრემლის დიდი ფიალა, განიზრახა სატრფოს „გამოცდა“.

დასწერა ბარათი. „ჩემო საყვარელო! შენ კარგად უნდა იცოდე და გესმოდეს, რომ მე მომავალი ერთობ მაშინებს. ვეჭობ, რომ გიყვარდე. აგრე ხარ, მგონია, არა? ჩვენ ბედნიერად ვგრძნობდით ჩვენს თავს, როცა გულის თქმით გატაცებული სიტკბოების მორევში ვცურავდით. მაგრამ, თურმე, მოკლე ჟამში ყველაფერი ცვალებადი ხდება, თუ კი წინ და წინ წარმოიდგენ, რომ სიყვარული და სასოება დაუსრულებელია! ნება მომეცი, მოგაშორო დღეიდან ეს მძიმე ტვირთი, რომლის აღება შენ არ შეგიძლია. მომიგონებდე, მხოლოდ არ-ცუდად. მე კი გეფიცები, ჩემთვის ყველაფერი გათავდა.

ოჰ, რა უბედური ვარ, რომ აგრე ვიტანჯები!. ტყვილა ნუ მეძებ, ვერ მომნახავ! მშვიდობით!“ ქვეშ მოაწერა: „ფრანსუაზა-მარი“.

წერილი რომ გულწრფელი იყოს, ეს დამწერის გრძნობა-მორეულ მდგომარეობიდან ჩნდა, რადგან, სიცრუე, რაც უნდა თამამად იყოს ნათქვამი, მაინც სიცრუედ დარჩება. წერილი დაბეჭდა ფრანსუაზამ და დადვა მაგიდაზე, რომელზედაც მხატვარს თავისი სამუშაო ინსტრუმენტები ეწყო.

მაგიდა სავსე იყო ისეთი რამეებით, რაც კი შეიძლება იყვეს მხატვრის მაგიდაზე, როდესაც ამავე დროს ის ცხოვრობს კეკლუც ქალთან: სურნელების ფლაკონი, მატერიების ნაჭრები, ორნამენტები, პინსეტები, სახატავი წამლები, ტუალეტის სხვა-და-სხვა საჭიროება და, სხვათა შორის, ჯიბის პატარა რევოლვერიც (თუმცა არ ვიცით კი, რისთვის მოპოებული).

მხატვარი დაბრუნდა საღამოს შორს სეირნობიდან. მისი ფეხის ხმა რომ გაიგონა ფრანსუაზამ, უცბად დაიმალა თავის პორტრეტის უკან; პორტრეტი მიფარებული იყო, მოლბერტის მაგიერ, ძველ დროის საათზე.

შემოვიდა თუ არა მხატვარი, მსწრაფლ გადაავლო თვალი ოთახს და მაგიდაზე შენიშნა კონვერტი. გახსნა და დაიწყო ჩქარა კითხვა; სათაური რომ წაიკითხა, ბოლოს დახედა. მერე გულდადებით დაიწყო კითხვა ნელა, დინჯად... საშინლად დაღონდა მხატვარი, როცა თავისი მარტოობა წარმოიდგინა და გაითვალისწინა... მისი დაჭრილი გული თითქო საუკუნოდ დაიხურა სიყვარულისათვისო.

ფრანსუაზა დიდად კმაყოფილი იქნებოდა, რომ ამ დროს მხატვრის სახე დაენახა, მაგრამ ამაო იყო სურვილი!

მხატვარს კი თვითოეული წამი უღვივებდა გულში მწუხარებას, ზიზღს და მტრულ ძვირს. უეცრად მაგიდაზე თვალი მოჰკრა რევოლვერს. გულის-წყრომით გატაცებულმა ფრანსუამ წაავლო ხელი რევოლვერს და დაუმიზნა მის წინ მდგომარე სურათს, იმ ქალის სურათს, რომელიც ეხლა, ამ წამში უფრო გატაცებით უყვარდა, ვინემ ოდესმე.

„შენი მე არაფერი არ მინდა“,—დაიძახა და ჩამოუშვა ჩახმახი.

ტყვია შიგ გულში მოხვდა პორტრეტს. ჰოი, საშინელებავ! ამავე წამში მოისმა პორტრეტის უკან საშინელი, გულის შემზარავი კივილი და რაღაცა მძიმე იატაკზედ გაიშალა ხრიალით: პორტრეტის დედანი იატაკზედ ეგდო გულ-გახვრეტილი, უსულოდ!

გიჟვით დარეტიანებული მივარდა მხატვარი თავისს მსხვერპლს: „მარი, მარი, მარი! შენ გენაცვალე, მარი! შენ შემოგევლე! მარი! გთხოვ, არ მოკვდე, გეფიცები,—მიყვარხარ!..“

გულ-წრფელი იყო ეს ფიცი, მაგრამ ყოვლად უნაყოფო: გასჭრა «გამოცდამ».

ს. ქ—ძე

ა ჩ რ დ ი ლ ი!

(ჰეინედან)

წუნარი დამეა, მეუდრება ჭსუფევს ყველგანა...
ჩემსა სატრფოსაც აიმ სახდის ეფარა ჭერი,
მაგრამ წავიდა, აღარ ისმის დღეს არასფერი,
ხსოვნაც კი მისი გაჭქრა, გაჭყვა უბედურს თანა.

—

მაგრამ რას ვხედავ, ვიდაც მწარედ ქვითინებს იქა,
გულხელ დაკრეფით, ნადვლიანად ბედის მჩივარი.
საშინელებავ! მთვარის შუქზე ვარჩევ აგერა,
რომ ის აჩრდილი საკუთარი ჩემიეე არი.

—

ოჭ მეგობარო! სატოდავო აჩრდილო ჩემო!
რად განგიზრახავს აგრე მწარედ გამოჯავრება?
ერთს დროს ხომ ეგრე ფერმიხდილი მთელის
დამობით
მეც მუნ ვსდგე ხოდმე და მიდბობდა გულს
მდუღარება!..

დავიწყებული.

ქრისტიანების რიცხვი ქვეყნიერებაზე

უცხოეთის გაზეთებში მოყვანილია საყურადღებო ცნობები ქრისტიანობის გავრცელების შესახებ მე-XIX საუკუნეში. როგორც სჩანს ამ ცნობებიდან, ამ ჟამად ქრისტიანეთა რიცხვი სამჯერ უფრო მეტია, ვიდრე მე-XIX საუკუნის დასაწყისში იყო. ამ წლის 1-ლ იანვრისთვის მთელს ქვეყანაზე ითვლებოდა 500 მილიონ ქრისტიანამდე, რომელნიც განაწილდებიან დაახლოვებით ასე: კათოლიკე—240 მილიონი, პროტესტანტი—150 მილიონი, მართლმადიდებელი—100 მილიონი; უკანასკნელთა რიცხვში ჩათვლილია სომეხ-გრიგორიანები, ნესტორიანები და კოპტებიც. 1801 წ. აფრიკაში 20 ათასზე ცოტა მეტი კათოლიკე იყო, ეხლა კი იქ 2 მილიონზე მეტი კათოლიკეა; აღმოსავლეთ აზიაში 6 მილიონამდეა კათოლიკეთა რიცხვი; შეერთებულ შტატებში მე- XIX საუკუნის დასაწყისში 100-ათასი კათოლიკე იყო მხოლოდ; ეხლა-კი 8 მილიონამდეა. ხსენებულ საუკუნეში მეტად გაცხოველდა მისსიონერთა მოღვაწეობა. გამოანგარიშებულია, რომ ყოველ წელს იხარჯება დედა-მიწაზედ 6 მილიარდ მანეთამდე მისსიონერთა მოღვაწეობის გავრცელება—გაძლიერებისათვის; მარტო ინგლისი ხარჯავს ამ საგნისთვის 12 მილიონ მანათს წელიწადში.

მთავრობის განკარგულებანი

ყუბანის ოლქის ეისკის განყოფილების გადასახადთა ინსპექტორი ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე გადაყვანილი იქმნა ერევნის გუბ, ალექსანდროპოლის განყოფილების გადასახადთა ინსპეკტორად.

ვიტებსკის ოლქის სასამართლოს პროკურორი რ უ ა ძ ე დაინიშნა კიევის სამოსამართლო პალატის პროკურორის თანაშემწეთ.

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

29 მარტი.

პეტერბურგი. 29 მარტს, ნაშუადღევის 6 საათზე, ხელმწიფე დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული დანიიდან პეტერბურგში მობრძანდა. სადგურ ალექსანდროვსკაიაზე დედოფალს მიეგებნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე-დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე-მემკვიდრე და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული. სადგურიდან მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი საზამთრო სასახლეში წაბრძანდნენ.

ყაზანი. ვოლგაზე ყინული ისევ მოდის; კოზმოდემიანსკთანაც ყინული დაიძრა.

ჩისტოპოლი. კამაზედ ყინული მთლად დაიძრა.

მოსკოვი. თოვლის ნამქერის გამო დანკოვის რკინის გზაზე კოზლოვიდან მე-91-ე ვერსზე საქონლის მატარებელი ასი მუშით, რომლებიც გზის გასაწმენდად იყვნენ გაგზავნილები, 27 მარტს რელსებიდან გადავარდა. ერთი მუშა მოკვდა და ორიც მძიმედ დაშავდა.

პეკინი. კაპიტანი ბარჩი პეკინის მიდამოებში მკვდარი იპოვნეს. რამდენადაც დაუყოვნებლივ დაწყებულმა გამოძიებამ გამოარკვია, ბარჩის სიკვდილი უბედურ შემთხვევას უნდა მიეწეროს.

პეკინი. ბარჩი საზაფხულო სასახლის ახლოს მკვდარი იპოვნეს; ზურგში ტყვია აქვს მოხვედრილი. ეტყობა გასაძარცვავად არ მოუკლავთ, რადგანაც საათი და ფული ისევ ჯიბეში უპოვნეს.

მადრიდი. მინისტრთა საბჭომ არჩევნები 29 აპრილისათვის დანიშნა, ხოლო კორტესების შეკრება—7 მაისისათვის.

პეკინი. ინდოეთის მეოთხე ქვეითა ჯარის ბრიგადა დაშლილ იქმნა. ინდოეთის ორი პოლკი ინდოეთში გაიგზავნება, ხოლო სხვა ბრიგადები გენერალ კემპბელის უფროსობის ქვეშ დარჩებიან. მეოთხე ბრიგადის უფროსი გენერალი კუმინსი თავისის შტაბით ინდოეთში დაბრუნდება.

ტიუმენი. სემიპალატინსკსა, ირიტსა და ბიისკთან ყინული დაიძრა; პავლოდარსა, ტურინსკსა და ტიუმენში ყინული იძვრის.

ნიჟნი-ნოვგოროდი. გუშინ და დღეს ყინულის ძვრის დროს მდინარე ოკაზე ოც სხვა-და-სხვა გემამდე დაზარალდა. ვოლგაზე ყინული დგას; წყალი სწრაფად მატულობს.

ვილაფრანკა. რუსის გემი „ალექსანდრე მე-II“-ს ნახვის დროს ლუბემ ამ გემის უფროსს საპატიო ლეგიონის კომანდორის ჯვარი ჩააბარა.

ბერლინი. ვალდერზეე იუწყება პეკინიდან, რომ აღმოსავლეთ-აზიის მე-2 ქვეითა პოლკის კაპიტანი მეისტერი ხჟანპიჩოუდან, პეკინიდან ჩრდილოეთით 30 კილომეტრის სიშორეზე, დაედევნა ყაჩაღების ბრბოს, რომელიც 30 მარტს თავს დაესხა ტანჩოუს, პეკინიდან 25 კილომეტრის სიშორეზე ჩრდილოეთით; მეისტერის რაზმმა გაჰფანტა ეს ბრბო და 20 ყაჩაღიც მოჰკლა.

პარიზი. რუსის ესკადრის მოულოდნელმა მოსვლამ ვილაფრანკაში საფრანგეთის ერის უფროსის პატივსაცემლად, მთელ საფრანგეთში ნამდვილი ეროვნული სიხარული გამოიწვია. გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ ამ მეგობრულ საქციელს. მელინის გაზეთი გამოსთქვამს შემდეგ აზრსა: „იმპერატორ ნიკოლოზ II ამნაირი დემონსტრაცია არა თუ მხოლოდ გააძლიერებს იმ სახელს, რომელიც მოპოებული აქვს რუსეთის იმპერატორს საფრანგეთში, არამედ უფრო გაამაგრებს იმ კავშირსაც, რომელიც ორ სახემწიფოს აერთებს. „რაპპელ“ აცხადებს: „ეს ზრდილობისა და მხურვალე მეგობრობის ოქმი დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს ჩვენს მოქალაქეებზე, რადგანაც ის ხელახლად ამტკიცებს საფრანგეთ-რუსეთის კავშირის გულწრფელობას და სიმტკიცეს“. „რადიკალ“-ი ამბობს: „ეს მანიფესტაციერომა შთაბეჭდილებას მოახდენს მთელს საფრანგეთზე“.

ტულონი. ნაშუადღევის 1 ს. 30 წ., აქაურ ნავთ სადგურში მოვიდა საფრანგეთის ესკადრა, რომელსაც ტულონის სიმაგრეებმა, იტალიის ესკადრამ და „პელაიომ“ ჩვეულებრივი სალამი მისცეს. ჯავშნიანმა გემმა „სან ლუი“-მ, რომელზედაც პრეზიდენტი იმყოფებოდა, იტალიის გემებს შუა გაიარა; იტალიის ზღვაოსნები სალამს აძლევდნენ პრეზიდენტს და „ურა“-ს იძახდნენ; ორკესტრი მარსელიეზას უკრავდა. გენუის ჰერცოგი და მისი შტაბი გამოემშვიდობნენ პრეზიდენტსა და მინისტრებს და ორ საათზე ლუბე არსენალთან ხმელეთზე გადავიდა.

ტულონი. გენუის ჰერცოგი თავისი შტაბით 3 საათზე გემ „ლეპანტო“-დან ხმელეთზე გადაკიდა; ნავთსადგურში მდგომმა 40 გემმა ჩვეულებრივი სამხედრო სალამი მისცეს. როცა ჰერცოგი არსენალში მივიდა, მას სამხედრო პატივი მისცეს. ჰერცოგი ზღვის პრეფექტურაში წავიდა, სადაც ერთმა ბატალიონმა ჯარმა სამხედრო სალამი მისცა.

ტულონი. ლუბემ საღამოთი გენუის ჰერცოგს „ლეპანტო“-ზე დარბაზობა გადაუხადა. გემებმა პრეზიდენტის პატივსაცემლად ზარბაზნები გაისროლეს; „ლეპანტო“-ზე მუსიკა მარსელიეზას უკრავდა. ლუბე 12 წამს ელაპარაკა ჰერცოგს და შემდეგ წავიდა. დელკასემ ჰერცოგს საპატიო ლეგიონის ოფიცრის დიდი ჯვარი ჩააბარა. ლუბე დაბრუნდა პრეფექტურაში, იქ მოხელეები მიიღო და შემდეგ წავიდა ნადიმზე, რომელიც არსენალში იყო გამართული ჰერცოგის პატივსაცემლად. გზაში ხალხი ყველგან მხურვალე თანაგრძნობით ეგებებოდა პრეზიდენტს. ლუბემ წარმოსთქვა რუსეთის, საფრანგეთის და სხვა სახემწიფოების ოფიცრების სადღეგრძელო; მან ერთად აღღეგრძელა ყველა ქვეყნების ზღვის ოფიცრები, რადგანაც მათ უჩვენეს კაცობრიობას მაგალითები თანხმობისა და თავგანწირვისა. „პელაიოს“ უფროსმა პასუხად სიხარული გამოსთქვა იმის გამო, რომ მას წილად ჰხვდა ისპანიის მთავრობისა, ერისა და ფლოტის გრძნობების გამოთქმა; მან საფრანგეთის კეთილ-დღეობისა და მისი მშვენიერი ფლოტის სადღეგრძელო წარმოსთქვა. ტულონში დაბრუნებულის რუსეთის ერთი ნაღმიანის გემის უფროსმა მადლობა გადაუხადათ რუსეთის პატივსაცემლად წარმოთქმულ სადღეგრძელოსათვის და სთქვა: „თქვენი სიტყვები ყველა რუსის გულს მოჰხვდება. ვსვამ საფრანგეთის დიდებისა და საფრანგეთის ფლოტისა და ჯარის სადღეგრძელოს“. ჰერცოგმა ფლოტის წასვლა შაბათამდე გადასდო, რათა დაესწროს საუზმეზე, რომელსაც საფრანგეთის ესკადრის უფროსი გაჰმართავს. ნადიმის შემდეგ ლუბე და ჰერცოგი ქალაქის საბჭოს შენობის ჰაივანიდან ვენეციელ დღესასწაულს უყურებდნენ. ქალაქი და ყველა გემები ნავთ სადგურზე ბრწყინვალედ იყვნენ გაჩირაღდნებულები. პრეზიდენტსა და ჰერცოგს ხალხმა აღტაცებული და ხანგრძლივი ოვაცია გაუმართა.

ტულონი. პრეფექტურაში მოხელეების მიღების ბოლოს ლუბემ საპატიო ლეგიონის სამი ჯვარი და ბევრი ოქროს ნიშანი გადასცა გემი „კარრო“-ს ზღვაოსნებს, რომლებმაც კუნძულ ფარამანს ახლო გემი „რუსსი“ გადაარჩინეს.

ტულონი. გენუის ჰერცოგის წასვლის შემდეგ, ლუბემ, რომელსაც თან ახლდნენ მინისტრები, მიიღო „პელაიოს“ ოფიცრები. კომანდირმა დიაზმა გამოსთქვა სიხარული იმ გარემოების გამო, რომ მას ხვდა წილად გადასცეს პრეზიდენტს მმართველ დედოფლის სალამი. ლუბემ მადლობა გადაუხადა მას და გამოთქვა სიამოვნება იმ ურთიერთ სიმპატიის გამო, რომელიც აერთებს საფრანგეთსა და ესპანიას. „მე მეტად გახარებული ვარ „პელაიოს“ გამოგზავნის გამო და გთხოვ გადასცე დედოფალს ჩემი პატივისცემის გრძნობა“. შემდეგ ლუბემ მიიღო იაპონელი ლეიტენანტი, რომელსაც გადასცა საპატიო ლეგიონის კავალრის ჯვარი. ბოლოს პრეზიდენტმა მიიღო რუსის ნაღმიან გემების ორი უფროსი. გამოსვლისას ოფიცრებს ხალხი აღტაცებით ეგებებოდა. ხუთის საათის 15 წამზე ლუბე გამოვიდა პრეფექტურიდან და გემში ჩაჯდა გენუის ჰერცოგთან სადარბაზოდ წასასვლელად. ქუჩა ავსილი იყო დიდძალისა და აღტაცებულის ხალხით.

ტულონი. გენუის ჰერცოგი მოვიდა სრულ საპარადო ფორმაში გამოწყობილი და იგი დაუყოვნებლივ შეიყვანეს ლუბესთან, რომელთანაც მარტოდ დარჩა! მეტად გულითადი ბაასი გაგრძელდა 20 წ. ჰერცოგმა გადასცა პრეზიდენტს მეფის სახელით „ხარების“ ორდენის ძეწკვი. შემდეგ ლუბემ წარუდგინა ჰერცოგს მინისტრები და თვის ამალის პირნი; ჰერცოგმა თავის მხრივ წარუდგინა პრეზიდენტს აფიცრები. 3 საათზე და 50 წუთზე ჰერცოგი მიაცილეს ნავთსადგურამდე იმავე ცერემონიებით. ხალხი ეგებებოდა ჰერცოგს სალამით და ტაშის კვრით.

ნიცცა. ლუბეს ტოსტის საპასუხოდ კრეისერ „იმპერატორი ალექსანდრე II“-ზედ, ადმირალ ბირილევმა უსურვა საფრანგეთს, თავის მეორე სამშობლოს, კეთილდღეობა და საფრანგეთის ფლოტსა და ჯარს დიდება. ლუბემ დააჯილდოვა საპატიო ლეგიონის კავალრის ჯვრით კაპიტანი ბრანაკკი და აკადემიურის ნიშნით „ხრაბრის“ მაშინისტი მაქსიმოვი და მიჩმანი ალექსანდროვი. მოიტანეს შამპანური. ლუბემ აიღო ბაკალი და სთქვა: „მე ბედნიერი ვარ, რომ იმპერატორ ნიკოლოზ მეორემ გამოგზავნა ესკადრა ადმირალ ბირილევის უფროსობით საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მისასალმებლად; მე მეტად მადლობელი ვარ სიმპატიის ამ აქტისთვის. ვსვამ სადღეგრძელოს იმპერატორ ნიკოლოზ მეორისას, დედოფლისას და ჩვენის მეგობრის და მოკავშირის რუსეთის ხალხისას, აგრეთვე ვუსურვებ კეთილდღეობას რუსეთის ფლოტს“.

კაპშტადტი. უკანასკნელის ცნობების მიხედვით, ბოტა, როგორც ბურების მთელის სამხედრო ძალის წარმომადგენელი, მზადაა ზავზედ მოლაპარაკება დაიწყოს. ამ მოკლე ხანში დევეტთან მოლაპარაკების დროს გამოირკვა, რომ დევეტი წინააღმდეგია დამორჩილებისა, მაგრამ ბოტა ვითომც დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დევეტი ზნეობრივ საღი ადამიანი არ არის, და რადგანაც აქამდე მხოლოდ იგი აბრკოლებდა ზავის ჩამოგდებას, ბოტას ჰსურს ისევ დაიწყოს მოლაპარაკება, ჰფიქრობენ, რომ, თუ ბოტამ იარაღი დაჰყარა, დევეტის მოქმედებას მალე მოუღებენ ბოლოს, რადგანაც მისი ჯარი უფრო და უფრო სუსტდება. ნახევრად ოფიციალურის ცნობების მიხედვით, ბოტას და კიტჩენერს კიდევ უნდა ენახოთ ერთმანერთი.

30 მარტი

ტულონი. „ლეპანტო“-ზე საუზმის დროს გენუის ჰერცოგმა დალია ლუბეს სადღეგრძელო, თავისი ჭიქა პრეზიდენტისას მიაჭახუნა და დიდხანს ართმევდა მას ხელს. საუზმის შემდეგ ლუბემ, ჰერცოგის მიპატიჟებით, დაათვალიერა გემი „ლეპანტო“; დათვალიერების დროს ჰერცოგი ლაპარაკობდა შეიარაღებისა და იარაღის განვითარებაზედ, როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზედაც. ლუბე ლაპარაკობდა იმაზე. თუ რა საშინელ პასუხის საგებ საქმეს იდებს თავზე ის, ვინც ომს იწვევს. გენუის ჰერცოგმა ამაზე უპასუხა, რომ ამგვარს შეხვედრასა და ერთმანერთის ნახვას შეუძლიან გახადოს საერთაშორისო დამოკიდებულება უფრო წრფელი. ლუბეს წასვლის დროს გენუის ჰერცოგმა მიაცილა იგი გემის კიბემდე და დიდხანს გრძნობით ართმევდა მას ხელს. „ლეპანტოს“ გარს ეხვია დიდ-ძალი ნავები, საიდგანაც ხელსახოცებითა და ქუდებით სალამს აძლევდნენ პრეზიდენტს და იძახდნენ: „გაუმარჯოს ლუბეს, საფრანგეთის რესპუბლიკას და იტალიას“-ო. ნაშუადღევის შემდეგ ლუბემ დაათვალიერა ზღვის ქვეშ მავალი გემები, შემდეგ ჩაჯდა ერთ მათგანში და ზღვის ქვეშ გაისეირნა. შემდეგ პრეზიდენტმა ინახულა რუსეთის გემები, რომლებსაც აქ აკეთებენ, ჯილდოები დაურიგა ამ გემების უფროსებს და შემდეგ წავიდა ქალაქის ბანკეტზე. მერის ტოსტის საპასუხოდ ლუბემ სთქვა, რომ იგი მთელის თვის ძალღონით იშრომებს მოქალაქეთა შორის ერთობის დასამყარებლად, რათა ერის მთელი ძალღონე მოხმარდეს გარეშე ქვეყნებში საფრანგეთის გავლენის გაძლიერებას და შინ მის კეთილდღეობას.

ტულონი. აი უფრო დაწვრილებით მოთხრობილი ამბავი პრეზიდენტის ყოფნისა რუსის იმ გემებზე, რომლებსაც აქ სეინში აშენებენ. პრეზიდენტს შეხვდა „ცესარევიჩის“ კიბეზე „ბაიანის“ უფროსი რადიონოვი. „საფრანგეთის მრეწველობამო, სთქვა რადიონოვმა, მისცა რუსეთს, თავის დახელოვნების გამო, ახალი ძლიერება და ძვირფასი წყარო ძალისა. ჩვენ ყოველთვის გვემახსოვრება, თუ საიდან არის ჩვენი გემები და შემდეგ ზღვაზე სიამაყით შევხვდებით მეგობარ და მოკავშირე ერის გემებს და საღამს მივცემთ საფრანგეთის დროშას“. ლუბემ სიხარულით გამოთქვა, რომ რუსეთმა მიმართა საფრანგეთის მრეწველობას ამისთანა მნიშვნელოვან გემების ასაშენებლად. შემდეგ პრეზიდენტი ავიდა გემზე, სადაც მას მიესალმა „ცესარევიჩის“ უფროსი გრიგოროვიჩი. ლუბემ ხელი ჩამოართვა ყველა აფიცრებს და გემი შემოიარა. წასვლის წინ მან გადასცა „ბაიანის“ უფროსს როდიონოვს საპატიო ლეგიონის კამანდორის ჯვარი და მის თანაშემწეს მეორე რანგის კაპიტანს სემიონოვს აფიცრის ჯვარი; საღამოს გრიგოროვიჩსაც გადასცემენ საპატიო ლეგიონის კომანდორის ჯვარს.

ტულონი. გენუის ჰერცოგი დაესწრო ქალაქის ბანკეტს. მერი თავის სიტყვაში მიესალმა რუსეთის დროშას, „რომელსაც 1893 წლის დაუვიწყარ ოკტომბრის შემდეგ ვუერთებთ ყველა ჩვენ მანიფესტაციებს. ტულონი არ დაივიწყებს იმ სამახსოვრო ხანას, როდესაც ადმირალი აველანი მოვიდა აქ თვის მაღალ დანიშნულების შესასრულებლად“. ლუბეს მხურვალედ მიეგებნენ გენუის ჰერცოგი და იტალიის, რუსეთის და ესპანიის აფიცრები.

ტულონი. ლუბე გულითადად გამოემშვიდობა გენუის ჰერცოგს და საღამოს წავიდა ტულონიდან. ხალხმა ვაშას ძახილით გააცილა იგი.

კარნარვონი. დეზერტირი კაპის ახალშენის აჯანყებულ რაზმისა, რომელიც კაკამასში სდგას, ამბობს, რომ ბურების რაზმი კაპშტატიდან ტყვეობიდან გამოქცეულ ფრონემანის სარდლობით მოვიდა კაკამასშიო. რაზმი შესდგება 200 ჯარის კაცისაგან.

კონსტანტინეპოლი. მსოფლიო პატრიარხატში იჩინა თავი კრიზისმა, რომელიც გამოწვეულია ერთის მხრივ სინოდისა და პატრიარხატის შერეულ რჩევის და მეორეს მხრივ პატრიარხ კონსტანტინე მე-V-ეს შორის მომხდარ უკმაყოფილებით. ეხლანდელ სინოდის და შერეულ რჩევის უმრავლესობა, რომელიც შესდგება ყოფილ პატრიარხის იოაქიმ მესამის მომხრეთაგან, ბრალს სდებს პატრიარხს კონსტანტინეს, რომ პატრიარზატის საქმეთა მართვის დროს მან ვერა გააწყო რა პორტასთან. გუშინ სინოდისა და შერეულ საბჭოს სხდომის დროს უმრავლესობამ სამჯერ მისცა წინადადება პარტრიარხს თავი დაანებოს თანამდებობას. პარტრიარხმა არ მიიღო ეს წინადადება. უმრავლესობამ ამას შემდეგ შეადგინა ოქმი, რომელშიაც თხოულობენ პატრიარხის გადაყენებას. გუშინ ეს ოქმი წარუდგინეს პორტას დასამტკიცებლად.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-6 გვერდზე.)

ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ საფრანგეთის ვაჭრობის მინისტრმა რადიკალ-სოციალისტმა მილიერანმა, როგორც ცნობილია, წარუდგინა რესპუბლიკის პრეზიდენტს ორი დეკრეტი, რომლებიც მუშების საბჭოების წეს-რიგსა და მოქმედებას შეეხებიან. ეხლა სენატორს ბერანჟეს თავისი და სხვა ორი სენატორის სახელობით შეუტანია სენატში კანონ პროექტი, რომელიც იმავე საგანს შეეხება. ბერანჟე და მისი ამხანაგები ჰფიქრობენ, რომ ამისთანა საქმეები უნდა გადასწყვეტილ-ნ ხოლმე პარლამენტის მიერ და არა დეკრეტებით. აი რას ამბობს ბერანჟე თავის წინადადებაში: «მუშების საბჭოების დაწესება—მეტად მოსაწონი საქმეა. ვაჭრობას და მიწად-მოქმედებას აქვთ სრული დონისძიება თავისი სურვილი და აზრი მთავრობას გაუგებინონ, მხოლოდ შრომას არა აქვს წესიერი და კანონიერი საშუალება, რომ მთავრობას თავისი დარდი გაუგებინოს. ეროვნულ შემთხვევაში ეს საქმე პარლამენტს უნდა ეკითხებოდეს და არა ადმინისტრაციას.“

✿ 22 მარტს პარიზში საჯაროდ გაიუდა ქალების მონასტერი წმ. აგუსტინისა. ეს საჯაროდ გაუიდეს მოხდა იმ მიზეზით, რომ მონაზნებმა მტკიცე უარი შეუთვალეს მთავრობას და მონასტრის მამულის ხარჯი არ გადაიხადეს. მონასტერა იმყოფება ოტეიდში დიდ ტეეში; ამაში დაარსებულია ქალების პანსიონი, რომელშიაც საფრანგეთის და სხვა კათოლიკეთა ქვეყნების საუკეთესო გვარის ქალები იზრდებოდნენ. მონასტერი თავისი ტეით სულ მცირეთ 4 მილიონი ფრანკი ჭდირს. ეველაზე მეტი ფასი შეაძლია ვინმე ერნესტო პაჩელიმ, რომელიც განგებ იყო მოგზავნილი იმავე მონაზნებისაგან. ერთმა მონაზონმა გამოაცხადა გაზეთებში, რომ პაპიმ მოიწონა ჩვენი უარი ხარჯის მიცემაზე და წინადადება მოგვცა, რომ თუ საფრანგეთიდან გამოდევნილ იქნებით, რომში გადმოსახლდითო. ამ მონასტრის გაუიდვა არის შედეგი პალატის მიერ ასოციაციების შესახებ კანონის დამტკიცებისა. რადგანაც ამ მონასტრის მონაზნებიც ადგრძალულ კონგრეგაციების რიცხვს ეკუთვნოდნენ, ამიტომ ისინი შეუშინდნენ მონასტრის დახურვას და მამულის ჩამორთმევას და წინათვე ეცადნენ თავიანთ საქმეების მოსპობას და მამულების გაუიდვას.

✿ ინგლისურ გაზეთებში გამოცხადებულია მოხსენება იმ პარლამენტარული კომისიისა, რომელსაც მსჯელობა ჰქონდა ახალი მეფის ჯამაგირზე. კომისიის წინადადებით ედუარდ VII

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა დაენიშნოს 470,000 გირვ. სტერლინგი. ეს თანხა განაწილდება ამ ნაირად: 1) თითონ მეფის სახარჯოთ 110,000 გირვ., 2) ჯამაგირები და პენსიები მეფის სასახლის მოსამსახურეებისათვის—125,800 გირვ., 3) მეფის სასახლის შესანახად—193,000 გირვ., 4) მეფის სასახლეების აშენება და რემონტი—20.000 გირვ., 5) საქველ მოქმედო და საგანგებო ხარჯები—20,000 გირვ., 6) სხვა და სხვა ხარჯები—8000 გირვ., თუ რას ნიშნავს ეს სხვა-და-სხვა ხარჯი,—კომისია ამაზე არას აბბობს. ამას გარდა კომისიამ მემკვიდრე პრინცს დაუნიშნა ჯამაგირად 20,000 გირვ., მის მეუღლეს—10,000, მეფის ქალიშვილებს—18,000 და განსვენებულ დედოფალთან მოსამსახურეთ ნამეფოთ პენსიად—25,000 გირვ. სტ. ამ ნაირად მთელი სამეფო ოჯახის შენახვა დაჯდება—543 გირვ. ეს თანხა მხოლოდ 67,000 გირვ. სტერლ. აღემატება განსვენებული დედოფლის ჯამაგირს. კომისიის ერთმა წევრთაგანმა „ბაბუშერმა“ განსაკუთრებული აზრი გამოთქვა. ის ფიქრობს, რომ მთელ სამეფო ოჯახს 415,000 გირვ. სტ. ეყოფაო. გაზეთები დარწმუნებულები არიან, რომ პალატა დიდის ხმის უმეტესობით მოიწონებს ამ მოხსენებასაო. მის წინააღმდეგები იქნებიან მხოლოდ ირლანდიელები, ბაბუშერი და კიდევ ორიოდე რადიკალიო.

✿ ფრანგ. გაზეთ «მატენში» დაბეჭდილია იმ საუბრის შინაარსი, რომელიც ამ გაზეთის თანამშრომელს პრეზიდენტ კრუგერთან ქონია უტრესტში. საუბარს დასწრებია აგრეთვე ორანჟეს რესპუბლიკის წარმომადგენელი ფიშერიც. პირველად დაპარაკი ჩამოვარდნილა იმის შესახებ, თუ რას აპირობს კრიუგერი, რის გაკეთებას ფიქრობს იგი ამ ახლო მომავალში. კრიუგერმა თქვა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ მოსალოდნელებელად პატარა სოფელ კიდვერსუმში, უტრესტის ახლოს, მივდივარო, ხოლო რაც შეეხება ამერიკაში წასვლას, ამის შესახებ ჯერ არაფერი არა გადწყვეტილიაო. კრიუგერი წავა ამერიკაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დონენბას მისცემს, და თუ იმედი იქნება, რომ ეს წასვლა სარგებლობას მოუტანს იმისს საქმეს. შემდეგ «მატენის» თანამშრომელს უკითხავს კრიუგერისათვის, თუ რამდენად მართალია ის დასკვნა, რომელიც ინგლისურ ოფიციალურ განცხადებიდანა და დეპეშებიდან გამოდისო, სახელდობრ ის, ვითომც ბოერამ მხოლოდ წვრილმან, უმნიშვნელო საკითხების გამო (საკითხი კაფრეობზე, ახალშენებად გადაქცეულ რესპუბლიკების შინაგანი მმართველობა, საზღვრის რაოდენობა და ამნისტია) შესწყვიტა ზავზე მოლაპარაკებაო, და ვითომ ბოერ მზად იყო მოლაპარაკების დროს დამოუკიდებლობა, ნაწილად მაინც, უარ-ეყოო. კრიუგერმა ბეჯითი პროტესტი გამოაცხადა წინააღმდეგ ამ ნაირი დასკვნისა. ბოერ—სთქვა მან,—იმიტომ დასთანხმდა მოლაპარაკების დაწყებას, რადგანაც ბურებს ქვეყნების დაპურობა არ უნდათ; ისინი მხოლოდ იმისათვის ომობენ, რომ ზავი ჩამოაგდონ. ბოერ ისმენდა რასაც ეუბნებოდნენ და უნდოდა, რომ ბოლომდე მოესმინა. მას რომ მაშინვე რაიმე პრინციპიალური საგნის გამო გაეჩერებინა კიტჩენერი, საუბარი გასწყდებოდა, ხოლო მაშინ ის ვეღარ გაიგებდა, თუ რამდენად მართლმებულები არიან ინგლისელები ზავის ჩამოგდებას და რის დათმობა ჭსურთ. მაგრამ ბოერს ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია დამოუკიდებლობის შესახებ; მისი უკანასკნელი დეპეშის ირონიული კილო ცხადად გვიჩვენებს, რომ ის ისე იქცეოდა, როგორადაც კი, რომელიც მხოლოდ ყურს უგდებს და არა როგორც კი, რომელიც მოსაუბრეს სთანხმდება. დამოუკიდებლობა—ეს ეს ერთად-ერთი მიზანი, რომელსაც ჩვენ თავ-განწირვით ვეღტვით და რომლისათვისაც ჩვენ სხვა ყველაფერზედ ხელი ავიღეთ. ეხლანდელს ინგლისელებს რომ თავიანთი საკუთარი სარგებლობა ესმოდეთ, ისინი უსათუოდ ადიარებდნენ ბურების დამოუკიდებლობას, რადგანაც ბურები ამ შემთხვევაში ბევრს რასმე დასთმობდნენ და ბევრ რამეზედ ხელს აიღებდნენ. ჩვენ წინადვე მზადა ვართ ამ შემთხვევაში მოლაპარაკება გავმართოთ იმის შესახებ, თუ რა უნდა დავთმოთ, გარდ ერთისა—ეს არის ჩვენი დამოუკიდებლობა». შემდეგ კრიუგერმა განაცხადა, რომ ბურები «მზად არიან თავიანთ თავისუფლებაც დასთმონ, თუ სამედიცინო სასამართლო გადასწყვეტს, რომ ერთი ან მეორე რესპუბლიკა არა მისი დირსი, რომ მათ დარდვიეს რითმე დვთისა, ანუ ადამიანის კანონი. მაგრამ ბურებს ამ მხრივ სინიდისი დამშვიდებული აქვთ».

ამის შემდეგ დაპარაკი ჩამოვარდა შესახებ დეკეტის შესვლისა კაპის ახალშენში. კრიუგერი ცდილობდა უარეო სუოვლთაოდ გავრცელებული აზრი, რომ ამ შესვლამ უნაყოფოდ ჩაიარაო, რადგანაც ოფიციანდერები (კაპის ახალშენის მცხოვრებლები) არ აჯანყდნენო. «ნამდვილად კი,—შეენიშნა კრიუგერმა,—დეკეტს არცა ჭქონია აზრად ოფიციანდერების აჯანყებაო. შტეინი და დეკეტი სხვა მიზანს ელტოდნენ და მიადწიეს კიდეც: იმათ დიდძალი ოქროელნაირი სურსათი და ტყვენები იშოვეს და ამას გარდა ინგლისელი ჯარები სულ კაპის ახალშენისაკენ წაუყვანინეს და ამით გაანთავისუფლეს გენერალი ბოტა, რომელიც ტრანსვაალის აღმოსავლეთში ინგლისელებმა ძლიერ შეაგიწროვეს. შემდეგ დეკეტმა ისიც მოახერხა, რომ ინგლისელებს, რომლებიც თავიანთ თავს ორიოდე რესპუბლიკის ბატონად სთვლიდნენ, ეხლა კაპისა და ნატალის დაკარგვისაც ეშინიანთ».

დასასრულ კრიუგერმა სთქვა, რომ ბურები ბრძოლას განაგრძობენო: «ინგლისელებს შეუძლიანთ ოფიციალურ უბედურება მოგვუნონ, მაგრამ დამონაგებაზე კი ვერავინ დაგვიყოლიებს».

კრიუგერი თავის მოსაუბრეს მეტად მხნე ბერიკაცად სჩვენებია: თვალის ტკივილს, რომელიც წინადა ჭქონდა, ეხლა, ოპერაციის შემდეგ, სულ მთლად გაუვლია.

ახალი ამბავი

✦ პარასკევს, 30 მარტს, ტფილისში ჩამოვიდა ბავარიის ტახტის მემკვიდრე—პრინცი ამალით. სადგურზე მას მიეგებნენ ტფილისის კომენდანტი გენ. რეიტერი და ტფილისის გუბერნატორი პოლკოვ. სვეჩინი. პრინცი და მისი ამალა, რომელიც 150 კაცისაგან შესდგებოდა, გაჩერდნენ „ორიანტის,“ „ლონდონისა“ და ვეტცელის სასტუმროებში. გუშინ პრინცთან იყო კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი; შემდეგ პრინციც მივიდა მთავარ-მართებელთან სადარბაზოდ. გუშინ პრინცი ათვალიერებდა ქალაქს, დაათვალიერა, სხვათა შორის, მუზეუმიც. პრინცი დარჩება ტფილისში 2 აპრილამდე.

✦ საიუბილეო გამოფენის მომწყობმა კომიტეტმა საბოლოოდ შეიმუშავა გამოფენის ბიუჯეტი. შემოსავალი გამოანგარიშებულია 87-ათასი მანეთი, გასავალი 101 ათასი მან.

✦ ოთხშაბათს, 4 აპრილს, ტფილისის საქალაქო ცენტრალურ საავადმყოფოში გადახდილ იქმნება პანაშვიდი იმპერატორის ალექსანდრე მეორის სულის მოსახსენებლად.

✦ სატყეო დეპარტამენტის დირექტორმა ნიკიტინმა დაათვალიერა სახაზინო ტყეები შავი-ზღვის ნაპირას და ნოვოროსსიისკიდან პეტერბურგს წავიდა.

✦ ჭიათურიდან გვატყობინებენ, რომ მარგანეცის მრეწველები, ნამეტნავად წვრილი მრეწველნი, ძალიან შეწუხებულნი არიან კრიზისის გამო; მარგანეცის გაზიდვამ ძალიან იკლო. აქაურ საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების დაარსების საქმე ჩქარა მიდის წინ: 15 აპრილისთვის აპირებენ დამფუძნებელთა პირველ კრების მოხდენას.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულს კავკასიაში ი. ს. მედვედიევს დღეს, 1 აპრილს, მოელიან ტფილისში.

✦ შავი-ზღვის ნაპირა ადგილებში ვენახებისთვის დიდი ზარალი მოაქვს ერთ-გვარ ჭიას. მიწად-მოქმედების სამინასტროს გამოუგზავნია სპეციალისტი—ენტომოლოგი მოკრუეცკი, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს ღონისძიებანი ხსენებულ ჭიასთან საბრძოლველად.

✦ ბოლოს დროს ტფილისში დიდ-ძალი რუსის გლეხი ჩამოდის რუსეთის შიდა-გუბერნიიდან. ყველანი ყარსის ოლქში მიდიან, სადაც დასახლებას აპირებენ.

✦ კავკასიის მთავარ-მართებლის ბრძანებით, ქ. სოხუმის პოლიციის ბოქაული რიაზანცევი დაინიშნა სოხუმის ოლქის კოდორის ნაწილის უფროსად.

✦ ხვალიდან სახაზინო თეატრში იწყება რუსული დრამატიული წარმოდგენები ბ. ლიუდვიგოვის გამგებლობით. ამხანაგობის დასში ტფილისის საზოგადოების ნაცნობი მსახიობნიც არიან: ქ. ბ. ბ. პასხალოვისა, მარტინოვისა, ბ. ბ. ბეჟინი, დოლინი, სტეპანოვი, ჩერნოვი და სხვანი. სეზონი მაისის დასასრულამდე გასტანს.

✦ ტფილისის მაზრის უფროსის თანაშემწე კოტოვიჩი დაინიშნა ბორჩალოს მაზრის უფროსად.

✦ კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გ. ს. გოლიცინის ბრძანებით, ბათუმის ოლქის უფროსის თანაშემწე ნ. კ. რეზანოვი დაინიშნა ოზურგეთის მაზრის უფროსად.

✦ 4-სა და 8 აპრილს, დიდუბის მინდორში გაიმართება დოღი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ჯიშის ცხენები ჩრდილოეთ და ამიერ-კავკასიისა.

✦ კავკასიის საბაღოსნო საზოგადოების განყოფილებამ დაუნიშნა ბათუმის საბაღოსნო გამოფენის ექსპონენტებს, სხვათაშორის, შემდეგი ჯილდოები:

1) საპატიო დიპლომი ჩაქვის საუფლისწულო მამულს—სხვა-და-სხვა ძვირფას მცენარეებისათვის.

პატარა ოქროს მედლები:

1) ალექსანდრე ილიას ძეს სტოიანოვს—ჩაქვში ძვირფას მცენარეების გაშენება-გამრავლებისათვის.

2) ვუჩინოს, ბინა იაკობის ასულს, ჩაქვში ტფილ-ქვეყნის მცენარეების გაშენება-გამრავლებისათვის.

3) ბახვის ორკლასიან სკოლას ოზურგეთის მაზრაში—სხვა-და-სხვა მეურნეობის ნაწარმოებისათვის.

დიდი ვერცხლის მედლები:

1) მიტროფანე ლაღიძეს ქ. ქუთაისში—სხვა-და-სხვა ხილეულობისაგან სასმელების დამზადებისათვის.

2) გურიის ამხანაგობას „შუამავალს“—მეაბრეშუმეობის ნაწარმოებისათვის.

3) ბოლქვაძეს გ. კ. ქუთაისში—ჭაჭის არაყის და ლიქიორის დამზადებისათვის ყურძენ-ადესადან (იზაბელა).

4) ყარამან ტარიელის ძეს ჩხეიძეს დ. საჩხერეში—მეფუტკრეობის ნაწარმოებისათვის.

5) ფოთის სამოქალაქო სასწავლებელს—ბაღოსნობისა და მეფუტკრეობის ნაწარმოებისათვის.

6) ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებელს—მეაბრეშუმეობის ნაწარმოებისათვის.

პატარა ვერცხლის მედლები:

1) თ. ერმილე ნაკაშიძეს—ბოსტნეულობის ნაწარმოებისათვის.

2) სერბინე კალანდაძეს, ს. ხიდისთავში—ბაღოსნობის ნაწარმოებისათვის.

3) ოჩამჩირის ორკლასიანს სკოლას—ბოსტნეულობის ნაწარმოებისათვის.

4) მოსეშვილს პ. მ. რაჭის მაზრაში—მეფუტკრეობის ნაწარმოებისათვის.

5) ზუგდიდისა და ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლებს—ბოსტნეულობის ნაწარმოებისათვის.

6) ოლღა მიხეილის ასულს მეუნარგიას—აბრეშუმის ნაწარმოებისათვის.

7) ნინა პავლეს ასულს დანელიას—აბრეშუმის ნაწარმოებისათვის.

8) დავიდოვს და ჭელიძეს—ღვინისათვის.

9) ციხის კერძო სკოლას—ბოსტნეულობის ნაწარმოებისათვის.

✦ ტფილისის ქალაქის ლომბარდის საერეზიო კომისიამ წარუდგინა ქალაქის გამგეობას თვისი მოხსენება, რომელშიაც მიქცეულია ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ლომბარდიდან სესხის გატანა უჯდება მსესხებელს 15-16 %. მიზეზი ამ არა სასურველ მოვლენისა ის ყოფილა, რომ ლომბარდი საშუალების უქონლობის გამო იძლევა სესხს ნაწილ-ნაწილ და კანონით კი ყოველ ფულის აღებაზე მსესხებელს საღერბო გადასახადი ჰხდება. კომისიის აზრით აუცილებელია ეხლავე გაძლიერებულ იქმნეს ლომბარდის საშუალება. ლომბარდის ადმინისტრაცია, ეთანხმება რა კომისიის აზრს, თავის მხრივ წინადადებას იძლევა ამ მიზნის მისაღწევად განაღდებულ იქმნას მესამე საობლიგაციო სესხის ობლიგაციები; ის ზარალი, კი რომელსაც ქალაქი ნახავს ამ განაღდებით, შეიძლება დაიფაროს პროცენტის მომატებით.

✦ საფოსტო ტეხნიკ ივანოვის დაჭრის საქმის გამომძიებელმა ჩამოართვა ჩვენება მოწმეებს და ადგილობრივ დაათვალიერა „ედემი“-ს ბაღი, სადაც მოხდა ეს ამბავი.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ მოკლე ხანში შეუდგება გადასინჯვას საგუბერნიო უწყებათა პროგრამისას; განზრახვა აქვთ—გააფართოვონ ამ გაზეთების პროგრამმა.

✦ გზათა სამინისტროში შეუმუშავებიათ პროექტი, რომლით განზრახულია სახაზინო რკინის გზების მსახურთ მიანიჭონ სახელმწიფო სამსახურის უფლებანი.

✦ სატეხნიკო და სახელოსნო ცოდნათა გასავრცელებლად საერო განათლების სამინისტროს განუზრახავს 1902 წლიდან დაარსოს იმპერიის სხვა და სხვა ადგილებში სახელოსნო და სატეხნიკო სკოლები; ამგვარ სკოლებს უმთავრესად დააარსებენ იმ ადგილებში, სადაც საოჯახო მრეწველობაა გავრცელებული.

✦ საექიმო დეპარტამენტი მოკლე ხანში განიხილავს ახალს კანონს, რომლით განზრახულია მავნე და საშიშარი ლოთები საგანგებო საავადმყოფოებში მთათავსონ ხოლმე.

✦ მოგვივიდა მე-4 № ჟურნალის „მოგზაურისა“ შემდეგის შინაარსისა:

1) «რ. ერისთავის ხსოვნას» (სურათით დექსი) ვ. ეიფანისა; 2) «საქართველოს» (დექსი) მ. სიმონაძისა; 3) «ქ. ტფილისის აღწერა» (ოთხი სურათით); 4) «ნარიყალა» (დექსი) დ. მეტრეველისა; 5) «სოფელი ფოკა და მისი ნაშთნი» (ორი სურათით და სამი წარწერით მე-XI საუკუნისა, რომლებშიაც მოიხსენებიან მეფე ბაგრატ მეოთხე და კათალიკოსი ოქროპირი); 6) «ქართული მატიანის ძველი სომხური თარგმანი», ი. აბულაძისა; 7) «იანიჩარი» (ისტორიული დრამა 5 მოქმედებად), დ. ნახუცრიშვილისა; 8) «საქართველოს ექზარხოსები», ი. ფერაძისა; 9) «მოკლე აღწერა ტფილისის ნაწილისა» ე. გუგუშვილისა; 10) «გეოგრაფიული და ისტორიული აღწერა ჭერეთისა», ინგილო ჯანა შვილისა; 11) «სამხრეთ საქართველო» (დასასრული), ზ. ჯ.; 12) «აკოეგების ხმალი» (ძველი გარდმოცემა), ქართველი ოსებში; 13) დამატება: «სახალხო ისტორია საქართველოსი» 14) განცხადება «პატარა კახის» სურათის შესახებ.

✦ პარასკევს, 30 მარტს, საღამოს 8 საათზე ივანოვის სახლში, ხლებნაია გორკაზე, გაჩნდა ცეცხლი, რომელიც ცეცხლის მქრობელ რაზმის მოსვლამდე ჩააქრეს.

† ივანე ჯაჯანაშვილი

(ნეკროლოგი)

გუშინ-წინ, სოფ. კავთისხევში, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ივ. ჯაჯანაშვილი, რომელიც ერთ-ხანად მონაწილეობას იღებდა ქართულს სცენაზედ და ჩვენს დროგამოშვებით გამოცემებშიაც სწერდა იგი «კავთელის» ფსევდონიმით. პირველად გაზეთ «თეატრში», შემდეგ «ივერიაში» და ბოლოს დროს «ცნ. ფურცელშიაც». მას აქვს ნათარგმნი რამდენიმე პიესა და ნეკრასოვის ლექსებიც. განსვენებული სამასწავლებლო ინსტიტუტში სწავლობდა და სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო სწავლა ვერ დასთავრა. იგი გულშემატკივარი იყო ყოველივე ჩვენის წარმატებისა და, რამდენიც შეეძლო, ეგულგან იღებდა მხურვალე მონაწილეობას. ამ შვიდიარვა წლის წინად განსვენებულმა ქალქს თავი დაანება და სოფლად წავიდა, სადაც საკუთარს სოფელში მამასახლისადაც იყო ამორჩეული და კარგა ხანს და-

ჭეო ამ თანამდებობაზე, მაგრამ «ბნელ ძალამ სოფლისამ» სძლია და იგი იძულებული იყო იყო ისევ ქალაქს გადმოსახლებულიყო, მაგრამ ვერც აქ გახდა რასმე. გაზეთის თანამშრომლობა, ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს-დღეობით ჯერ ჯერობის არჩენს.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი და დმერთმა განუსვენოს შენს სულს ამ ქვეყნად, მოუსვენარო ამხანაგო!

ბ. ბ.

ჟუთაისის საქმეები.

უკანასკნელ საბჭოს კრებაზე ს. ბ. თოფურიამ მოახსენა ხმოსნებს, რომ ქალაქის დაქსაქსულმა საქმეებმა შეაერთა ორი მოპირდაპირე დასი—ოპოზიცია და იმის მოწინააღმდეგე პარტია და ამოარჩევია ცალკე კომისსია, რომელსაც დაავალა დასახელებულ პირებთან მოლაპარაკება მომავალ ქალაქის თავის არჩევნების და ამ თანამდებობაზე კანდიდატობის შესახებ. კომისსიამაც იწყო მიწერ-მოწერა და მოქმედება იმ ფარგალში, რომელიც, შემოუხაზა მას საბჭომ თავის კერძო კრებაზე. პირველად კომისსიამ მიჰმართა პროფ. პეტრიაშვილს, რომელმაც უარი განაცხადა ქალაქის მოურავობაზე. ამის შემდეგ კომისსიამ სთხოვა გ. ფ. ზდანოვიჩს, რომელიც დაითანხმა ქალაქის თავის კანდიდატად გამოსვლაზე. საუბედუროდ, ორი დღეა რაც ბ. ზდანოვიჩმა უარი განაცხადა თავის კანდიდატურაზე, ასე რომ კომისსიას არ ჰქონია დრო მოფიქრებისათვის და ამიტომ თხოულობს ეხლა არჩევნების გადადებას.

ამ გვარმა ბ. თოფურიას მოხსენებამ მეტად გააცხარა ბ. ქიქოძე, რომელსაც ასახელებდა რამდენიმე პირი ქალაქის თავის კანდიდატად.

„აქ მე ნათლად ვხედავ, ბრძანა აღელვებულმა ბ. ქიქოძემ, იმერულ ხრიკებს და კერძო პირის აბუჩად აგდებას; თუ ორი წლის წინედ, როდესაც ბ. ლოლუას წინააღმდეგ იყო გაცხარებული ბრძოლა, მე ვიყავ ეგრედ წოდებულ ოპოზიციისათვის სასურველი კანდიდატი, ეხლა რამ შემცვალა ისე, რომ სუყველამ ზურგი მიბრუნა; ამაშია იმ ვაჟბატონების ტაქტის უქონლობა და გადახვეული მოქმედება. მე აშკარად ვაცხადებ უარს ქალაქის თავის კანდიდატობაზე და დღეის იქით, როგორც ხმოსანი შეუდგები ქალაქის სასურველი თავის მოძებნას“. რასაკვირველია, ბ. ქიქოძის სიტყვებმა გამოიწვია კამათი და გამოითქვა, რომ არავის ფიქრადაც არ მოსვლია ბ. ქიქოძის პირადობა და იმის შებღალვა, რომ სუყველანი ხელმძღვანელობდნენ საზოგადო ინტერესებით და ისე მოქმედებდნენ. ეჭვი არ არის, რომ გაცხარებული და აღელვებული ადამიანი ცოტა მეტს იტყვის და სხვას შემოახვევს იმ დანაშაულს, რაშიაც თავად დამნაშავეა, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ გამოჩნდნენ პირები, რომელნიც ამართლებენ ამ დანაშაულს და საზოგადო საქმეებს თავის შურის-ძიებას ანაცვლებენ. ამ აზრის განსახორციელებლად ისინი ყოველივე ზომას ღებულობენ, კაცის ზნეობრივ მხარესაც კი შეეხებიან და დაიწყებენ კიცხვა-გინებას და ცილის-წამებას ურცხვად და უსაფუძვლოდ. მაგრამ სანამ ამ გვარი მითქმა-მოთქმა კერძო შინაურულ ბაას არ გაშორებია,—კიდევ არაფერი, რადგანაც ამ პირთა სინიდისის გასპეტაკება ჩვენ ხელში არ არის და ვერც შევეხევით ჩვენ იმას; მხოლოდ როდესაც ეს უწმაწური სიტყვების ლუღლუღი კერძო და ვიწრო ოჯახურ ფარგალს გადმოხეთქავს და გაზეთშიაც თავს იჩენს, მაშინ კი საჭიროა ლაგამი და შეჩერება, საჭიროა ამ გვარი იარების მოსპობა, თორემ ისინი ბევრად თუ არა ცოტათი მაინც შეუწუხებენ კაცს ცხოვრებას და საზოგადო საქმეებსაც ხელს შეუშლიან.

ამ გვარი ფიქრები გვებადება ჩვენ, როდესაც გავითვალისწინებთ ჩვენი ქალაქის არჩევნების საქმეს. მართლაც და რისი მომასწავებელია ის ბინძური და ყოველივე სიმართლეს მოკლებული კორესპონდენცია, რომელიც იყო მოთავსებული ტფილისის ერთ-ერთ რუსულს გაზეთში შესახებ ჩვენი ქალაქის არჩევნებისა. სავალალოა როდესაც ბეჭდვითი სიტყვა და გაზეთის ფურცლები შეიქმნებიან ბავშვების და გზა-კვალ დაბნეულ ვაჟბატონების სათარეშოდ და ცილის წამების გამავრცელებლად. რად გვეჭირვება ჭიათურაში ვიღაც ნიადაგ დაკარგული ავათმყოფი ბალღის არა ნორმალური მოსაზრებანი შესახებ ორი თანამდებობის შეერთებისა? რად გვეჭირვება გზა-კვალ დაბნეულ და დაკარგული ადამიანისაგან ჩაგონებული ბოდვა და ლანძღვა-გინება? საჭიროა საზოგადო ინტერესებით ხელმძღვანელობა და არა ფაქტების დამახინჯება და ფაქტიკი ამგვარი იყო. როგორც ვიცით, საბჭომ აირჩია თავის კერძო კრებაზე კომისია, რომელიც წევრებად იყვნენ ოპოზიციის, აგრეთვე მოწინააღმდეგე პარტიის წარმომადგენელნი. ამ კომისსიამ, რაკი მან პროფ. პეტრიაშვილისაგან უარი მიიღო, მიმართა ბ. ზდანოვიჩს, თანახმად კერძო კრების გარდაწყვეტილებისა. არავის არ უთქვამს, რომ გარდა ზდანოვიჩისა არ არის კაცი, რომელსაც შეეძლოს ქალაქის საქმეების გაძღოლაო. თავად ის გარემოება, რომ გარდა ზდანოვიჩისა სხვებიც იყვნენ დასახელებულნი, ამტკიცებს ამას. ბ. ზდანოვიჩმა მიიღო კომისია, მოისმინა მისი წინადადება და რა დაინახა, რომ კომისიაში ღებულობენ მონაწილეობას ორი მოწინააღმდეგე პარტიის წარმომადგენელნი, რომ სუყველა ისინი შეერთებული ძალით აპირებენ ქალაქის საქმეების გაუმჯობესობას, გამოაცხადა თავის თანხმობა. მაგრამ მან მაშინვე დასძინა: „მე არ შემიძლია ეხლა მივატოვო მარგანეცის მრეწველთა საბჭო, რადგანაც დაწყებული მაქვს იქ იმ გვარი საქმეები, რომელნიც თხოულობენ ჩემ შრომას და ყურადღებას; თუ შეიძლება ქალაქის მოურაობის და ეხლანდელი ჩემი ადგილის შეერთება და საბჭოც თანახმა იქნება ამის, მაშინ მე ვკისრულობ შრომას თანახმად კომისიის წინადადებისა, მხოლოდ მიმაჩნია საჭიროდ ქალაქის საკეთილდღეოდ გამგეობის მესამე წევრი“. კომისია დაეთანხმა ბ. ზდანოვიჩს, რომ გამგეობის მესამე წევრი მეტად საჭიროდ სასარგებლოა ქალაქის საქმეებისათვის, მაგრამ დაინახა ეს მან მოუხერხებლად ქალაქის სიღარიბის გამო. მაშინ ბ. ზდანოვიჩმა მიიღო მხედველობაში საზოგადო ინტერესები და ურჩია კომისიას—ქალაქის თავის ჯამაგირს გამოაკელით 1000 მანეთი და აირჩიეთ ქალაქისათვის სასარგებლო და მუშა კაციო. კომისია აღტაცებაში მოვიდა ამ წინადადებით და შეკრიბა საბჭოს კრება კრება, რომელსაც მოახსენა ყოველივე. საბჭომ რასაკვირველია წინადადება ძლიერ მოიწონა და გამოთქვა თანხმობა ამ ორი თანამდებობის შეერთებაზე; მხოლოდ გამგეობის მესამე წევრის შესახებ სხვა და სხვა ფორმალური მიზეზების გამო საბჭო ვერ დაეთანხმა ბ. ზდანოვიჩს და დაადგინა—ეთხოვოს ბ. ზდანოვიჩს ქალაქის მოურაობა ამ ერთი წლის და სამი თვის განმავლობაში და გამგეობის მესამე წევრის შესახებ უარის თქმა. მოტივი ამგვარი განაჩენისა ის იყო, რომ გამგეობის (ახალი) მესამე წევრი უნდა არჩეულ იქმნას ოთხი წლის ვადით; ამ ოთხი წლის განმავლობაში მას უნდა ეძლიოს წინ და წინვე დანიშნული ჯამაგირი. ქალაქის თავი კი, რომლის ჯამაგირიდან ნაწილი უნდა მიეცეს წევრს, ირჩევა ერთი წლის ვადით და შემდეგ ვინ იქნება ქალაქის თავი და ის მომავალი ქალაქის მოურავი ისურვებს თუ არა იმსახუროს დაკლებული ჯამაგირით,—შეუძლებელია ეხლა ითქვას. ამ მიზეზების გამო დაადგინა საბჭომ თავის კერძო კრებაზე ზემოდ მოყვანილი განაჩენი. კომისიამ თანახმად საბჭოს გარდაწყვეტილებისა მიმართა ხელ-მეორედ ბ. ზდანოვიჩს და დიდი თხოვნის შემდეგ დაითანხმა ის და მიიღებია საბჭოს განაჩენი. ბ. ზდანოვიჩი ხელმძღვანელობდა იმ მოსაზრებით, რომ ქალაქის დაქსაქსულმა და გაჭირებულმა მდგომარეობამ შეაერთა ორი მოპირდაპირე ბანკი და ათხოვნია იმას ქალაქის მოურავობა. მაგრამ შეიძლება შეერთება და არა განხეთქილება იქ, სადაც ჩიკვაიძე და ლოლუა დათარეშობენ?!! სწორედ იმის შემდეგ, რაც საქმე დაიწყო და სასურველად მიდიოდა, გამოცხადდა ბ. ქიქოძის კანდიდატურა, დაიწერა ცხრა ძმათა—ხმოსანთა და მეგობართა—ქაღალდი საბჭოს სახელზე იმის შესახებ, რომ ოფიციალურად გარჩეულ იქმნას, თუ რამდენად შესაძლებელია ბ. ზდანოვიჩისათვის შეერთება ორი თანამდებობისა და გამოიქექა ვიღაც კორესპონდენტი, რომელმაც ბეჭდვით სიტყვას და გაზეთს ჩირქი წასცხო თავის მოქმედებით.

ბ. ზდანოვიჩმა, რაკი დაინახა, რომ საბჭოში ერთობის მაგივრად დიდი განხეთქილებაა, რომ მას კერძო ინტერესებით გამსჭვალულები თავის ინტრიგანობით და უხეირო მოქმედებით ხელს შეუშლიან და არ მისცემენ საშუალებას იმუშავოს და გაუძღვეს საქმეს, უარი განაცხადა თავის კანდიდატურაზე. ამგვარად ჩაიფუშა კეთილი მისწრაფებანი ხმოსანთა უმეტესობისა და ამის თავი მიზეზი ის არის, ვინც წინ დაუდგა ხმოსანთა უმეტესობის სურვილს. ბ. ქიქოძეს უფრო ნაკლებ, ვიდრე სხვა ვინმეს ჰქონდა უფლება ეკიჟინა „ტაქტიკის“ უქონლობა ეგრედ წოდებულ ოპოზიციის პარტიისთვის. ის თუ პარტიის წევრი იყო, უნდა ამოდგომოდა გვერდში თავის პარტიას და საზოგადო ინტერესებით გამსჭვალულს მოეყვანა სისრულეში თავის პარტიის განაჩენი. სად გაგონილა, რომ კერძო წევრსა პარტიისამ ძალით შეაჩეჩოს თავისი თავი პარტიას რამე წარმომადგენლობაზე? რა მოხდა მერე, რომ ორი თუ სამი წლის წინად პარტია ასახელებდა რაიმე საქმეზე იმას, ვისაც დღეს უარს ეუბნება? განა არ შეიძლება, რომ გუშინ პარტია სხვა მდგომარეობაში ყოფილიყო, რომ მისი ძალები სხვა გვარად ყოფილიყვნენ დახლართულნი და დღეს კი ისინი სულ სხვა სურათს წარმოადგენდნენ? ნუ თუ პარტიას არა აქვს ნება გაიცნოს და ასწონ-დასწონოს თავისი ძალა და იმის გვარად დაადგინოს საზოგადოებისათვის სასარგებლო განაჩენი?! რასაკვირველია კი, პარტიას ბრძოლის დროსაც შაუძლია, თუ დაინახავს ამას სასარგებლოდ და თავისთვის მომარჯვებულად გადააყენოს თავის ერთი კანდიტატი და მეორე ჩააყენოს. პარტიის წევრად ამ გვარ მოქმედებას უკიჟინებს კი არა, დაემორჩილება და ხელსაც შეუწყობს, რადგანაც ამას მოსთხოვს მოსაზრებანი და პროგრამმა იმ პარტიისა, რომელიც საზოგადო ინტერესებით არის გამჭვალული. წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზაცია ირღვევა და პარტიას თავისი სახე ეკარგება.

ბეს.

საერთაშორისო დეპეშები

31 მარტი.

ბელსინგფორსი. 20 მარტს იმატრზე ერთის საათის განმავლობაში მთლად გადაიწვა ორ სართულიანი სახელმწიფო სასტუმრო ავეჯეულობით, საოჯახო მრეწველობის ნაწარმოებთა გამოფენით. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა არ იციან.

ლონდონი. კიტჩენერის დეპეშა: „29 მარტს ორი საათის მწვავე ბრძოლის შემდეგ ამხედრებულმა ქვეითა ჯარმა დეველტსტორპის ახლო წაიყვანა 80 ტყვე და მათ შორის რაზმის უფროსი ბრესლი“.

პეკინი. ჰფიქრობენ, რომ ჩინეთმა უცხო სახელმწიფოებს უნდა გადაუხადოს საზღაური 60 მილიონი გირვ. სტერლ.

ბომბეი. იუწყებიან, რომ კუეტის შეიხი მაბარუკი ნეჯის შეიხმა იბნ—რაშიდმა დაამარცხაო. ნავთ სადგურებისაკენ გამოქცეულები ამბობენ, რომ 5000 კაცი მოკლულ იქმნაო. რაშიდმა თავისი სამეფო, დაიჭირა. რა მოუვიდა მაბარუკს,—არ იციან.

იოკაგამა. იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა, თუ რამოდენა საზღაური მოსთხოვოს ჩინეთს, მაგრამ ამ საზღაურის რაოდენობას არავის უმხელენ. შესაფერის საბუთებს ჩააბარებენ იაპონიის ელჩს პეკინში მხოლოდ იმ დროს, როდესაც გამოცხადებულ იქნება სხვა სახემწიფოების განზრახვები და ნაანგარიშები იქნება ხარჯები.

კელნი. პეკინიდან იტყობინებიან, რომ ავაზაკთა ბრბო, რომელიც შესდგებოდა ოთხი ამერიკელისა და ოთხის ჩინელისაგან შეიპყრო გზის დარაჯებმა ტუნციაფუში, ტიანძინიდან დასავლეთით.

პეტერბურგის ბირჟა 29 მარტს.

ფასი ფულის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,70
ბერლინზე 100 მარკაში.	45,87½
პარიზზე 100 ფრანკში	37,30
ლონდონზე ჩეკები	94,65
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,60
ბირჟის დისკონტი	5¾,—7¼%

	მყიდვ.	გამყ.	გაყიდ.
	ბ ა ნ ა თ ი.		
4% სახელმწიფო რენტა. . . .	—	—	96⅛
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100	—	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა.	—	96	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	—	—	350¾
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . .	287½	—	—
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	—	220¾
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	88⅝	—	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	92½	—	—
4½% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა.	86½	—	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—	—	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	93	—	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—	—	92⅜
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	84½	—	—

რედაქტორი ალ. ჯაფარიძე. გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ბაქოში გადის კვირაში ერთხელ—ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის სადამოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფილისში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის სადამოს 8 ს. 12 წ. (9 ს. 10 წ

სუფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გადის დამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 13 წ.). ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 საათ. 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის სადამოს 6 საათ. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის სადამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. (54 წ.), ტფილისში ჩადის სადამოს 8 ს. 42 წ. 9 ს. 40 წ.).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Марта 1901 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბისა, ვანქის დიდი ქუჩა, № 27.